სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ხათუნა ხუციშვილი

გამოძიებისას მოწმის გამოკითხვისა და დაკითხვის ახალი წესი - საკანონმდებლო ცვლილებები სისხლის სამართალის პროცესში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე
სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ ლომსაძე
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

გორი
2019

ანოტაცია

ნაშრომი აქტუალურია იმდენად რამდენდაც არსებობს მოწმის გამოკითხვისა და დაკითხვის სხვადასხვა წესი სისხლისამართალწარმოებისას, მოწმე გამოძიების პროცესში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, სისხლის სამართლის საქმეში ბრლდებულის დასადგენად და საქმის გარემოებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებული იქნა პროექტი და ცვლილებები შევიდა სისიხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ასევე საპროცესო კოდექსში, რომელიც ეხებოდა მოწმეთა უფლებას ნებაყოფლობით ეთანამშრომლა საგამოძიებო ორგანოებთან. ნებისმიერი პირი რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებყოფლობით შეიძლება გამოკითხული იქნეს მხარეთა მიერ. დაუშვებელია გამოსაკითხი პირი აიძულონ წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია.

ნაშრომის ძირითადი საკითხი მოწმის როლია საგამოძიებო მოქმედებაში, რომელსაც შეუძლია გამოძიება სწორ გზაზე დააყენოს.

ნაშრომის დამუშავების დროს გამოყენებულია შედარებითი, ლოგიკური აზროვნებისა და სხვა მეთოდები. ვფიქრობ ნაშრომი დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ პირებს მოცემული საკითხის შესწავლაში.

Khatuna Khutsishvili

The new rule of inquiry and interrogation of witnosses
in the criminal proceedings of the criminal law

Annotation

The work is important as under the Common Law procedure there are different rules of the witness examination and questioning process. In the criminal case, witness has the main role during the case investigation to determine the defendant and to get information about the circumstances of the case. The new project that was drown out by the Parliament of Georgia and amendments were made as in the Criminal Code as well as in Civil Procedures Code regarding the rights of the witness to collaborate voluntary with investigation bodies. Any person who may holds the important information about the case shall be questioned under his/her free will. It is inadmissible to force a person to give information against his/her free will. The main issue of the Work is the role of the witness in the investigation actions, who assists the investigation to get on the right track.

The present Work is based on comparative, logical thinking and other methods.

I think that this Work will help interested people studying the presented issue.

სარჩევი

შესავალი 6

თავი I. სისხლისსამართალწარმოებაში მოწმის გამოკითხვის და დაკითხვის ზოგადი დებულებები 10

1. მოწმის ზოგადი დახასითება 10

1.1.გამოკითხვის ცნება და საფუძვლები.....11

1.2. გამოსაკითხი პირის უფლება-მოვალეობები.....14

1.3. დაკითხვის ცნება და საფუძვლები.....15

1.4. სიცრუის აღმოჩენა დაკითხვის დროს 16

1.5. დაკითხვა/გამოკითხვის გამიჯვნა.....18

1.6. მოწმე როგორც დაკითხვის სუბიექტი.....19

1.7. არასრულწლოვანი მოწმე.....25

1.8. ყრუ-მუნჯი და მძიმე დაავადებული პირი როგორც მოწმე.....26

1.9. დაზარალებული როგორც მოწმე.....27

1.10. პირი,რომელიც არ არის ვალდებული იყოს მოწმე.....29

თავი II. გამოკითხვა/დაკითხვის წარმოება სისხლის სამართლის პროცესში 33

2.1. გამოკითხვა/დაკითხვის მოქმედი წესი 33
2.2. მხარეთა მონაწილეობა დაკითხვაში.....39
თავი III. გამოძიების ეტაპზე - მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების შედარებით სამართლებრივი ანალიზი 42
3.1. მოწმეთა სამართლებრივი მდგომარეობა გერმანიაში.....42
3.2. მოწმეთა სამართლებრივი მდგომარეობა ინგლისსა და უელსში.....44
3.3. მოწმეთა სამართლებრივი მდგომარეობა ჰოლანდიაში.....45
3.4. მოწმეთა სამართლებრივი მდგომარეობა კანადაში 47
თავი IV. მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის სამართლებრივი ხარვეზები და რეკომენდაციები.....49

4.1 მოწმის დაკითხვის ახალი წესის კანონმდებლობის ანალიზი და მისი შეფასება 55
4.2.დანაშაულები, რომელზეც შენარჩუნებულია 1998 წლის მოწმის დაკითხვის წესი 57
დასკვნა.....60
გამოყენებული ლიტერატურა.....62

შესავალი

გამოძიებისას მოწმის გამოკითხვა და დაკითხვა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის დასადგენად და საქმის გარემოებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 18 დეკემბერს მიიღო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც გამოძიების სტადიაზე მოწმის გამოკითხვისა და დაკითხვის ახალ წესს ეხება. ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ასევე საპროცესო კოდექსში რომელიც 2016 წლის 20 თებერვალს ამოქმედდა. იუსტიციის სამინისტროს ცნობით პროექტის უმიშვნელოვანესი სიახლე ისაა, რომ, დაგეგმილი ცვლილებების თანხამდ, როგორც წესი, მოწმის ურთიერთობა გამოძიების ორგანოებთან ნებაყოფლობითი ხდება: მას ვერავინ აიძულებს, თავის ნების

საწინააღმდეგოდ მისცეს ინფორმაცია გამომძიებელს ან დაცვის მხარის წარმომადგენელს, ან კიდევ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან ოჯახის წევრის წინააღმდეგ. ეს სტანდარტი ფუძემდებლური სტანდარტია ყველა სამართლებრივ სახელმწიფოში. იმ შემთხვევაში, თუ მოწმე უარს იტყვის ნებაყოფლობითი გამოკითხვის ფარგლებში ჩვენების მიცემაზე, ბრალდების მხარეს ექნება უფლება, შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს და მის წინაშე უკვე სავალდებულო წესით დაკითხოს იგივე პირი. მოწმის დაკითხვის ასეთი წესი, ერთი მხრივ, გამორიცხავს მოწმეზე ზეწოლის ან სხვა უკანონო ქმედების განხორციელებას, მეორე მხრივ კი, საშუალებას ძლევს გამოძიებას, მოიპოვოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რათა ხელი არ შეუშალოს საგამოძიებო პროცესს, პირის მოწმედ დასაკითხად მაგისტრატ მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართავს პროკურორი ან გამომძიებელი. შუამდგომლობა განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე; დაკმაყოფილების შემთხვევაში კი, მოწმის დაკითხვა ხდება მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. დაუშვებელია მოწმის დაკითხვა ღამით. ღამის დადგომისას დაწყებული დაკითხვა უნდა შეწყდეს და გადაიდოს მეორე დღისათვის, საკანონმდებლო ინიციატივაზე ოთხი სამთავრობო უწყება იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ერთობლივად მუშაობდნენ. პროცესში ასევე ჩართული იყვნენ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტები, ამის შესახებ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომაც გააკეთა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა მოწმეთა უფლებას ნებაყოფლობით ეთანამშრომლათ საგამოძიებო ორგანოებთან. მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ძირითადი არსი ის არის, რომ მოწმის ურთიერთობას გამოძიების ორგანოებთან, ჩვეულებრივ, ნებაყოფლობითი ხასიათი მიენიჭა და პირს აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, მისცეს ან არ მისცეს ინფორმაცია გამომძიებელს ან დაცვის მხარის წარმომადგენელს თუ მას ეს არ სურს.[1]

დაცვის მხარე არ ესწრება მოწმის დაკითხვას მაგისტრატ მოსამართლესთან, ვინაიდან ეს არ არის საქმის განხილვის ეტაპი, რეალურად საქმე გვაქვს საგამოძიებო

---

[1] განმარტებითი ბარათი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ., თბილისი, 2015., გვ 2.

მოქმედების მოწმის დაკითხვის სასამართლო დარბაზში გადატანასთან, რაც მოწმის დაცულობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანი სიახლეა. თუმცა დაცვის მხარეს აუცილებლად მიუწვდება ხელი ამგვარი დაკითხვის ოქმზე. უფრო მეტიც, მას წინასასამართლო სხდომაზე შეუძლია, მოთხოვოს ამ ჩვნების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა, საქმის არსებითი განხილვისას კი უფლება აქვს, ჯვარედინი წესით დაკითხოს იგივე მოქმე და გამოავლინოს შეუსაბამობებიმის მიერ სხვადასხვა დროს მიცემულ ჩვენებებს შორის. ამ მიზნით მხარეს შეუძლია, მოწმის მიერ მაგისტრატ მოსამართლისათვის მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა ისე, რომ არ დასჭირდეს იმის მტკიცება, რომ ეს ჩვენება მუქარის ან ზეწოლის შედეგად არის მიღებული.[2]

ეს წესი კანონპროექტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს და სრულიად იცავს დაცვის მხარის უფლებებს.

მოწმე პირველად ჩვენებას, ნებაყოფლობით, პირდაპირ სასამართლო პროცესზე, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე აძლევს, მაგრამ გარკვეულ დანაშაულებზე, როგორებიცაა განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, ყაჩაღობა, ტერორიზმი და სხვა, დარჩა ძველი დაკითხვის წესი, რომელიც მოწმის მიერ გამოძიებისთვის ჩვენების მიცემის სავალდებულობაზე მეტყველებს. არნიშნულ დანაშაულებზე გამოძიების სტადიაზე შესაბამისი ორგანოებისთვის შეზღუდვების დაწესების გადავადების ერთადერთ და ძირითად მიზეზად საკანონმდებლო ორგანოს მოჰყავს ის, რომ მნიშვნელოვანია საგამოძიებო ორგანოები არ იყვნენ შეზღუდულები მოწმის მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის წინაშედაკითხვის შესაძლებლობით, ვინაიდან ამით მსთი ჩადენისთანავე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დანაშაულზე იმწუთიერ რიაგირებასა და მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, მოწმის დაკითხვის, მყისიერად განუხორციელებლობამ, შესაძლოა, შექმნას მტკიცებულებათა განადგურების, შემთხვევის ადგილის დაზიანების და მოწმეთა მიმალვის საფრთხე. შესაბამისად რისკის ქვეშ დააყენოს ამ დანაშაულების

---

[2] იქვე, გვ. 8.

ეფექტიანი გამოძიება და შეასუსტოს ქვეყანაში დანაშაულის საწინააღმდეგო ბერკეტები.[3]

მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი კანონში ჯერ კიდევ 2009 წელს ჩაიდო და მას შემდეგ არაერთმა წელმა განვლო, მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოები ჯერაც არ გამოთქვამენ მზაობას და სურვილს ამ წესის ამოქმედების თაობაზე. აღნიშნული ეხება როგორც სამართალდამცავ ორგანოებს, ასევე სასამართლო ხელისუფლებას.

კვლევის მიზანია დადგინდეს თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია მოწმის დაკითხვის ძველ და ახალ წესებს. აგრეთვე მოძიებულ იქნას გზები, რომლებიც არ შელახავს სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტალურ პრინციპებს და ამავდროულად არ შეაფერხებს სახელწმიფო ორგანოთა მუშაობის ეფექტურობას და ნორმალურ ფუნქციონირებას. მოხდეს იმ ნორმათა ინტერპრეტაცია, რომლებსაც ცვლილებები შეეხო და ეხება გამოკითხვა დაკითვის ახალ წესს, ვინაიდან ამ საკითხის გარშემო არ არსებობს საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, თუ შესაბამისი კომენტარი, განიხილოს და შეფასდეს აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები, დასახული პრობლემის გადასაჭრელად გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

ნორმათა შინაარსის შესადგენად გამოყენებული იქნება ნორმის ინტერპრეტაციის შემდეგი მეთოდები: გრამატიკული, ლოგიკური და სისტემური. კვლევა დაფუძნებულია, ისტორიულ, ლოგიკურ და ანალიტიკურ მეთოდებზე. ნაშრომის სტრუქტურა შედგება შესავალის, დასკვნის და ოთხი თავისაგან. პირველი თავი ეთმობა გამოკითხვის წესთან დაკავშირებულ ახალ ცვლილებებს, განხილულია გამოსაკითხი და დასაკითხი პირის უფლებები და მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. მეორე თავში საუბარია გამოკითხვა დაკითხვის მოქმედ წესზე, შეფასებულია ბრალდებისა და დაცვის მხარის უფლებები გამოსაკითხი პირის მიმართ. მესამე თავში მიმოხილულია გამოძიების ეტაპზე- მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების შედარებით სამართლებრივი ანალიზი, ხოლო მეოთხე თავი ეთმობა მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის სამართლებრივ ხარვეზებს და რეკომენდაციებს.

---

[3] განმარტებითი ბარათი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ., თბილისი, 2015., გვ 8.

თავი I. სისხლისსამართალწარმოებაში მოწმის გამოკითხვის და დაკითხვის ახალი წესი

1. მოწმის ზოგადი დახასიათება

მოწმის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სსსკ-ის მე 3 მუხლის მე-20 ნაწილში, რომლის თანახმად მოწმე არის პირი რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. ამრიგად მხარეებს სისხლის სამართლის პროცესში მოწმის სტატუსით მონაწილეობის მისაღებად უფლება აქვთ მოიწვიონ ნებისმიერი პირი, რომელსაც შეუძლია სასამართლოში მისცეს ჩვენება სისხლის სამართლის საქმის რელევატურ გარემოებებთან დაკავშირებით.

სასამართლოში პირი არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ, თუ იგი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო მოკლებულია აღნიშნულ უნარს (სსსკ-ის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილი). რამდენადაც სისხლის სამართლის საპროესო კანონმდებლობა „მოწმის ვარგისიანობას“ არ უკავშირებს პირის ასაკს, დასაშვებია მოწმედ სასამართლოში არასრულწლოვნებისა და მცირეწლოვნების დაკითხვაც (სსკ-ის 116-2 მუხლი, მათი ასაკის მიუხედავად. თუ მათ შეუძლიათ სწორად აღიქვან, დაიმახსოვრონ და აღადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ასევე შესაძლებელია ყრუ-მუნჯის მოწმედ გამოძახება (სსსკ-ის 117-ე მუხლი), რომელსაც აქვს უნარი თარჯიმნის მეშვეობით ყრუ-მუნჯთა ნიშნებით მისცეს სასამართლოში ჩვენება.

პირისათვის მოწმის პროცესუალური სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია ფორმალურ წინაპირობაზე, რაც მდგომარეობს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებასა და მისთვის ფიცის ჩამორთმევაში.

პირი მოწმის ულება მოვალეობას იძენს მას შემდეგ, როდესაც მას მოსამართლე სათანადო წესით გააფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ასევე ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე და იგი დადებს რელიგიურ ან არარელიგიურ ფიცს (სსსკ-ის 115 მუხლი).

სსსკ-ის 47-ე მუხლი აფართოებს იმ პირთა წრეს, რომელიც მოწმის სტატუსით შესაძლებელია სასამართლოში იქნენ დაკითხული. ასეთ პირებს მიეკუთვნებიან სისხლისამართლის პროცესის მხარეები და პროცესის სხვა მონაწილეები. კერძოდ სასამართლოში ჩვენების მიცემისას მოწმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები

ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს ექსპერტს და თარჯიმანს.[4]

1.1. გამოკითხვის ცნება და საფუძვლები

გამოკითხვა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საგამოძიებო მოქმე დებათა თავშია მოქცეული და იგი გულისხმობს იმ პირთან გასაუბრებას, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია დანაშაულის შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამოსაკითხი პირი არის ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლოა ფლობდეს დანაშაულთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციას. კანონმდებელმა გამოკითხვის ეტაპზე მოწმის ურთიერთობა საგამოძიებო ორგანოებთან ნებაყოფლობითი გახადა და მიანიჭა უფლება მისი სურვილისამებრ მისცეს, ან არ მისცეს ინფორმაცია გამომძიებელს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი. პირის გამოკითხვა ეს არის გასაუბრება ფიზიკურ პირთან, რომელმაც რაიმე იცის გამოსაძიებელი შემთხვევის ან/და მასთან დაკავშირებულ პირთა შესახებ. სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას მხარეებს უფლება აქვთ ნებაყოფლობით გამოკითხონ ნებისმიერი პირი, ვინც მათი ვარაუდით შესაძლოა ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. გამოკითხვის ოქმი წარმოადგენს საფუძველს იმისას, რომ გამოკითხული პირი დაკითხულ იქნეს მოწმის სახით.

სსსკ-ის 115-ე მუხლის მეორე ნაწილში შევიდა ცვლილება, რომელიც უფლებას ანიჭებს გამოსაკითხ პირს არ გასცეს ინფორმაცია, არა მარტო საკუთარი თავის, არამედ ახლო ნათესავის წინააღმდეგ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლი ითვალისწინებს გამოკითხვის ჩატარების პროცედურებს, კერძოდ, პირს, რომელსაც რაიმე სახის ინფორმაცია გააჩნია მომხდარ დანაშაულ თან დაკავშირებით, გამოკითხვის

[4] https://mimomxilveli.wordpress.com/tag/მოწმე/

ჩამტარებელი უფლებამოსილი პირი სთავაზობს მისცეს მას ეს ინფორმაცია შესაბამის გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებით. საპროცესო კოდექსის შესაბამისად, გამოკითხვის წარმოება ფიქსირდება გამოკითხვის ოქმში. გამოკითხვისას ოქმის შედგენა სავალდებულოა. იგი პოტენციური მოწმის მიერ მიცემული ინფორმაციის სუროგატია. გამოკითხვის ოქმს ინფორმაციული ხასიათი აქვს და არაფორმალურ ხასიათს ატარებს. მისი მიზანია, გამომკითხავმა მხარემ მიიღოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც იგი მომავალში მისი პოზიციის დამადასტურებელ მტიცებულებად გამოიყენებს და მოიპოვებს სხვა მტკიცბულებებს. გამომკითხავი პირი იკვლევს და აფასებს გამოკითხვით მიღებული ინფორმაცია სიმართლის შესაბამისია თუ არა.[5] გამოკითხვა ნებაყოფლობითია, თუ გამოსაკითხი პირი თანახმაა მისცეს გამოძიებას ინფორმაცია მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ იგი

გამოკითხვაზე თანხმობას განაცხადებს მას აფრთხილებენ ცრუ ინფორმაციის მიცემისთვის და ცრუ დასმენისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. დაუშვებელია გამოსაკითხი პირი აიძულონ წარმოადგინოს და გასცეს ინფორმაცია. გამოკითხვის თაობაზე თანაბარი უფლება აქვს როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეს. გამოსაკითხი პირი იძენს მოწმის სტატუსს, ვინაიდან ხდება მისი გაფრთხილება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. ერთის მხრივ პირი არ არის ვალდებული გამოცხადდეს საგამოძიებო ორგანოში და გამომძიებელს მისცეს ჩვენება სისხლის სამართლის დანაშაულის გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც მისთვის არის ცნობილი. ამასთან, თუკი გამომძიებელს, პროკურორს აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა მომხდარი დანაშაულის შესახებ იცის მნიშვნელოვანი გარემოებები და უარს აცხადებს გამოკითხვაზე, იგი შეიძლება დაიკითხოს მაგისტრატი მოსამართლეს წინაშე სასამართლოში, რა დროიდანაც გამოსაკითხი პირი უკვე იძენს მოწმის სტატუსს და მას ეკისრება ვალდებულება სასამართლოში გამოცხადების და ჩვენების მიცემის. მოწმის მოწვევის მიზანს წარმოადგენს გამოსაძიებელ ან/და განსახილველ სისხლის სამართლის

---

[5] დეკანოზიშვილი გ., დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, 2014., გვ 10.

საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება. გამოკითხვა ეს კომუნიკაციის პროცესია, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღება სისხლის სამართლის საქმისათვის კონკრეტულ ფაქტებზე, რაც გამოსაკითხ პირს გააჩნია. ხშირ შემთხვევაში გამოკითხვა არის ინფორმაციის მიღების უმნიშვნელოვანესი წყარო. გამოკითხვა არის ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი საშუალება დანაშაულის გამოძიების და გახსნისათვის. იგი წარმოადგენს ინფორმაციის მოპოვებას პირისგან, რომელსაც არ უნდა ჰქონდეს წესით რაიმე მიზეზი ჩვენების არ მისაცემად საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, თუმცა ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ეს პირები ინფორმაციას არ გასცემენ და არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან. მაგალითად, მკვლელობების, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, როდესაც თითოეულ დეტალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოძიების სწორად წარმართვისათვის და სახეზე გვყავს თვითმხილველი პირები, ფაქტების დადასტურებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გამოსაკითხი პირის მიერ გაცემული ინფორმაცია მნიშვნელოვანია წარმატებული გამოძიებისთვის და დანაშაულის გახსნისთვის. თუ პირი დუმს და არაფერს ამბობს, რა თქმა უნდა, ვითარება გამოძიების კუთხით უფრო რთულდება. გამოსაკითხ პირს აქვს უფლება არ გასცეს ინფორმაცია და ამის უფლება მას კანონით მიენიჭა, ამიტომ გამომძიებელი, პროკურორი იძულებულნი არიან სასამართლოს წინაშე დაასაბუთონ, რომ პირმა კონკრეტული დანაშაულის შესახებ იცის გამოძიებისათვის საჭირო ინფორმაცია და თუ ისინი ამას მოახერხებენ სასამართლოს თანხმობის შემდეგ შეუძლიათ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხონ პირი, რაც უდაოდ მოითხოვს დამატებით დროს და რესურსებს, რამაც შესაძლოა საქმის გამოძიება უფრო გაართულოს და გააჭიანუროს.

1.2. გამოსაკითხი პირის უფლება-მოვალეობები

გამოკითხვა წარმოადგენს მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებას. იგი არის ინფორმაციის მოპოვება შეკითხვების დასმის მეშვეობით. გამოსაკითხ პირთა წრე ორ

ჯგუფად იყოფა: ა. პირები, რომელთა მიმართ არსებობს დაბალი ხარისხის ეჭვი დანაშაულის ჩადენაში და ბ. პირები, რომელთა მიმართ არ არსებობს ეჭვი, მათ მიერ დანაშაულის ჩადენაში და რომლებიც ამავდროულად მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ. გამოსაკითხ პირთა შორის შესაძლებელია მოექცნენ ეჭვმიტანილი პირებიც. კანონმდებელი, სავალდებულოდ ითხოვს გამოკითხვის წარმოებისას ოქმის შედგენას და მას არსებით მნიშვნელობას ანიჭებს. გამოძიების პროცესში პირის გამოკითხვა საქმისათვის არსებითად მნიშვნელოვანია იმ გაგებით, რომ მის მიერ მიცემული ინფორმაცია გამოსაძიებელ საქმეს გარკვეული მიმართულებით წარმართავს, ამიტომაც აფრთხილებენ გამოსაკითხ პირს ცრუ ინფორმაციისთვის და აკისრებენ პასუხისმგებლობას. დაუშვებელია, გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია. გამოსაკითხი პირის უფლებაა, რომ საკუთარი თავის წინააღმდეგ არ გასცეს ინფორმაცია.

სისხლის სამართის 2009 წლის კოდექსის, მუხლში არ იყო მითითება ახლო ნათესავის წინააღმდეგ გაცემულ ინფორმაციაზე, ცვლილება ითვალისწინებს აღნი-შვნას, რომ გამოსაკითხმა პირმა მისი სურვილის შემთხვევაში არ გასცეს ინფორმაცია ახლო ნათესავის წინააღმდეგ. ასევე არ იყო მუხლში მითითება კონკრეტულად თუ ვის უნდა განემარტა გამოსაკითხი პირისთვის მისი უფლებები, ცვლილებების შემდგომ კი მუხლში მკაფიოდ ჩაიწერა, რომ გამოკითხვის ჩამტარებლის ვალდებულებაა განუმარტოს გამოსაკითხ პირს მისი უფლებები. გამოკითხვის ჩამტარებელმა მხარემ გამოსაკითხ პირს უნდა განუმარტოს, რომ გამოკითხვა ნებაყოფლობითია, რაც უნდა ასახოს შესაბამის ოქმში. სსსსკ-ის 113-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად გამოკითხვის ჩამტარებელი მხარე ვალდებულია გამოსაკითხი პირი წერილობით გააფრთხილოს ცრუ დასმენისთვის და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. 113-ე მუხლის თანახმად, პირს სრული უფლება აქვს არ გამოცხადდეს საგამოძიებო ორგანოში და უარი განაცხადოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის გაცემაზე. გამოსაკითხი პირი გამოკითხვაზე, როგორც თანხმობის, ისე უარის თქმის შემთხვევაში ვალდებულია გამომკითხველს თავისი პირადი მონაცემების შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს. გამოსაკითხი პირი გამოკითხვაზე თანხმობის შემთხვევაში ვალდებულია გამოკითხვის ჩამტარებელ

მხარეს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ სწორი ინფორ- მაცია მიაწოდოს. გამოკითხვა ნებაყოფლობითია, გამოსაკითხი პირის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, მისცემს თუ არა მხარეს იმ ინფორმაციას, რომელსაც იგი ფლობს.

1.3. დაკითხვის ცნება და საფუძვლები

დაკითხვა ყველაზე გავრცელებული საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებაა, იგი მართლმსაჯულებაში მტკიცებულების მიღების და შემოწმების ერთ- ერთი პირველი პროცესუალური მოქმედებაა. სისხლის სამართლის საპროცესო კო დექსის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ ასევე შეიძლება დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. მოწმის მოწვევის მიზანს წარმოადგენს გამოსაძიებელ, ან განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, ამიტომ პროცესში პირის მოწმის სახით მონაწილეობა პირდაპირ უკავშირდება ჩვენების მიცემის ვალდებულებას, გამოსაკითხ პირს კი ჩვენების მიცემის ვალდებულება არ აქვს. მოწმის დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობას მაგისტრატი მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს.

სსსსკ-ის 114-ე მუხლის თანახმად, შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოწმე უნდა დაიკითხოს გონივრულ ვადაში, მაგრამ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში მაგისტრატ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარე მოწმის დაკითხვას არ ესწრება. დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო ადგენს მოწმის ვინაობას.

სასამართლო ფიცის დადების შემდეგ მოწმეს განუმარტავს, თუ რა უფლება-მოვალეობები გააჩნია, რა საქმეზეა იგი გამოძახებული, რომ ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით და აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, ასევე განუმარტავს, რომ არ არის ვალდებული, მისცეს დანაშაულის ჩადენაში თავისი თავის ან ახლო ნათესავის; მამხილებელი ჩვენება, აღნიშნული უფლება მოწმეს გარანტირებული აქვს საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-8 ნაწილით. სასამართლო სხდომაზე დასაშვებია მოწმის იძულება სასამართლო პროცესზე გამოცხადების მიზნით. პროკურატურას და პოლიციას არ აქვთ უფლება, დაკითხონ მოწმეები სასამართლოს გარეთ, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებ, მათ შეუძლიათ მხოლოდ საქმეზე ინფორმაციის მატარებელ პირთა გამოკითხვა მათივე თანხმობის საფუძველზე. პოლიციას და პროკურატურას არ აქვთ უფლება, აიძულონ მოწმე, ითანამშრომლოს გამოძიებასთან. მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ძირითადი არსი ის არის, რომ მოწმის ურთიერთობას საგამოძიებო ორგანოებთან, ჩვეულებრივ, ნებაყოფილობითი ხასიათი მიენიჭა და პირს აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, მისცეს ან არ მისცეს ინფორმაცია გამომძიებელს ან დაცვის მხარის წარმომადგენელს, თუ მას ეს არ სურს.[6]

1.4. სიცრუის აღმოჩენა დაკითხვის დროს

დაკითხვისას იმ მოწმეების ან დაზარალებულების ფსიქიკური მოღვაწეობა, რომლებიც იძლევიან რეალურ ან მცდარ ჩვენებებს განსხვავებულია. თუ კეთილსინდისიერ მოწმეებსა და დაზარალებულებისათვის ეს მოღვაწეობა ატარებს რეპროდუქციულ ხასიათს, მატყუარებისათვის ის წარმოადგენს ხელოვნურობის პროცესს. ამავე დროს რეპროდუქციულობის ამოცანა კეთილსინდისიერი მოწმისა ან

---

[6] განმარტებითი ბარათი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ., თბ.2015., გვ 2.

დაზარალებულისთვის მდგომარეობს ადრე აღქმული მოვლენების გახსენება-გადმოცემაში და არ ემსახურება სხვა მიზნებს. ცრუ მოწმეებისათვის ამოცანა გაცილებით რთულია. ეს ხელოვნურობის პროცესია, სადაც არის რეპროდუქციულობის ყველა ელემენტი ამავე დროს მის პარალელურად მიმდინარეობს ნანახი მასალის გადამუშავება ისე, როგორც ეს აწყობს მატყარას.

ფსიქიკური თვალსაზრისით ტყუილის თქმა შედარებით რთულია, ვიდრე სიმართლის ლაპარაკი. კეთილსინდისიერი მოწმეებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიმართავენ მოვლენების გახსენების გონებრივ ერთადერთ მიმართულებას ანუ ერთ სახეს, ცრუ მოწმეების გონებაში ერთმანეთს კონკურენციას უწევს ორი მიმართულებით აზროვნება სინამდვილეში აღქმული და რეალური სახე, რომლის დამალვასაც ის ცდილობს და მეორე გონებრივად გამოგონილი სახე, რითაც ცდილობს რეალობის შეცვლას.

ადამიანის შინაგან სამყაროში წარმოიქმნება და გარე სამყაროშიც ვლინდება თავის გადარჩენის პრინციპი, რომელიც რამოდენიმე ნიშნითაც ხასიათდება:

1. ადრენალინისა და შაქრის მომატება სისხლში
2. პულსისა და სუნთქვის აჩქარება
3. თვალის გუგების გაფართოება
4. საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციონირების შეწყვეტა
5. ნერწყვის გამომყოფი ჯირკვლების ფუნქციონირების შეჩერება

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან დაკითხვაზე მყოფი ადმიანები სხვადასხვა ნიშნებით გამოხატავენ აღელვებასა და აღგზნებულობას. მას შემდეგ რა, გამომძიებელი დასაკითხთან დაამყარებს ფსიქოლოგიურ კონტაქტს, ის უნდა დააკვირდეს მის ქცევასა და განსაზღვროს, თუ როგორინიშნები ახასიათებს უმნიშვნელო საკითხებზე საუბრის დროს, ანუ ისეთ საკითხებზე რომელთა დაფარვასაც არ ცდილობს დასაკითხი.

უნდა აღინიშნოს, რომ გამომძიებელს არ სჭირდებათ დაიმახსოვრონ გრძელი ნუსხა ქცევებისა, რომლებიც ტყუილის მაჩვენებელია, შეუძლებელია რაიმე

კონკრეტული ქცევა სხვადასხვა ადამიანებში ერთსა და იმავეს გამოხატავდეს, ასევე დაუშვებელია ამ ქცეის სიცრუის ინდიკატორის ფორმულად გამოცხადება.[7]

1.5. გამოკითხვა-დაკითხვის გამიჯვნა

გამოკითხვა ყოველთვის წინ უსწრებს დაკითხვას, უფრო მეტიც პირის გამოკითხვისას მიღებული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში ხდება წინაპირობა იმისა, რომ პირი დაიკითხოს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის სტატუსით. გამოკითხვა ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. გამოსაკითხი პირისგან ინფორმაციის მიღება მისი სურვილის შედეგია. გამოსაკითხ პირს არ აიძულებს კანონი გასცეს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, რისი ვალდებულებისგანაც მოწმე არ თავისუფლება. მოწმეს აკისრია ვალდებულება მაგისტრატი მოსამართლის წინაშე თქვას ყველაფერი რაც იცის. გამოკითხვა გულისხმობს, პირის მიერ მისთვის ცნობილი ინფორმაციის მიწოდებას მხოლოდ და მხოლოდ მისი სურვილის შემთხვევაში, სისხლს სამართლის კოდექსი მიუთითებს, რომ დაუშვებელია გამოსაკითხი პირი აიძულონ გასცეს ინფორმაცია, გამოკითხვა არის წინაპირობა მოწმის დაკითხვისა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე წინასასამართლო სხდომაზე დღევანდელი კანონმდებლობით, ვინაიდან გამოკითხვის ოქმით სასამართლო ადგენს პირის რელევანტურობას და შემხებლობას საქმესთან. გამოკითხვა ეს არის ინფორმაციის მოპოვება საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით გამომძიებლის მიერ შეკითხვების დასმის მეშვეობით. დაკითხვა პირდაპირ ტარდება გარკვეული კატეგორიის დანაშაულებზე, რომლებზეც ეს საგამონაკლისო წესმა იმოქმედა 2017-2018 წლამდე. დაკითხვისას გროვდება ინფორმაცია ფაქტობრივი მონაცემების შესახებ. დაკითხვა ყოველთვის იყო და არის მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საპროცესო მოქმედება. თითქმის არ არ არსებობს სისხლის სამართლის საქმე

---

[7] დეკანოზიშვილი გ., დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, 2014., გვ 10.

დაკითხვის გარეშე.[8] გამოკითხვა ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს დაკითხვას. გამოკითხვის დროს გამომძიებელი იკვლევს ეჭვმიტანილის პიროვნებას, შეიტყობს მისი მიზნებს, განცდებს, გრძნობებს და ა.შ. გამოკითხვა არ არის იძულებითი პროცესი, იგი თავისუფალ საუბარს ჰგავს, რომლის დროსაც გამომძიებელი აკვირდება გამოსაკითხი პირის ვერბალურ და არავერბალურ ქცევას, ამყარებს მასთან ფსიქოლოგიურ კონტაქტს.[9] მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გამოკითხვის ჩამტარებელი მხარე გადაწყვეტილებას დაკითხოს თუ არა გამოკითხული პირი მოწმის სახით სასამართლოში. სისხლის სამართლის პროცესში არსებულ მტკიცებულებათა შორის ყველაზე გავრცელებული და დამოუკიდებელი სახის მტკიცებულებაა მოწმის ჩვენება. მოწმის სახით შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ ის პირი, ვინც იცის გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოების ან მასში მონაწილე პირთა შესახებ ინფორმაცია და თავისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლია მისცეს სწორი ჩვენება.[10]

სისხლის სამართლის ნოვაციაა მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე სასამართლოში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. პროკურორი უფლებამოსილია მაგისტრატ მოსამართლეს შუამდგომლობით თავად მიმართოს ან შუამდგომლობით მიმართვა გამომძიებელს დაავალოს.

1.6. მოწმე, როგორც დაკითხვის სუბიექტი

---

[8] ლომსაძე მ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სახელმძღვანელო.,თბილისი, 2015., გვ 150.

[9] დეკანოზიშვილი გ., დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში,თბილსი.2014., გვ 113.

[10] გოგნიაშვილი ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი., თბილისი, 2008., გვ 47.

მოწმე არის პირი, რომელიც სამართალწარმოებისას იძლევა ჩვენებას სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომელიც მას სრულიად შემთხვევით გააჩნია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20-ე ნაწილის თანახმად, მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი.

პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად და მართლმსაჯულების განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწმეთა მონაწილეობას პროცესში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.[11] შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მოწმის დაკითხვა გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ამიტომაც იგი შეუცვლელ მტკიცებულებად არის აღიარებული.[12] მოწმე პირველად ჩვენებას, ნებაყოფლობით, პირდაპირ სასამართლო პროცესზე, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე აძლევს, მაგრამ გარკვეულ დანაშაულებზე, როგორებიცაა განზრახ მკვლელობა, გან- ზრახ მკვლელობა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, ყაჩაღობა, ტერორიზმი და სხვა, დარჩა ძველი დაკითხვის წესი, რომელიც მოწმის მიერ გამოძიებისთვის ჩვენების მიცემის სავალდებულოობაზე მეტყველებს. ამ დანაშაულებზე დაკითხვის ახალი წესი ამოქმედდა 2017-2018 წლისათვის.[13]

სსსსკ-ის 49-ე მუხლით განსაზღვრულია მოწმის უფლება-მოვალეობანი, კერძოდ, მოწმეს უფლება აქვს: ა) იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული; ბ) თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ჩვენება მისცეს მშობლიურ ან

---

[11] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი,თბილისი, 2015., გვ 378.

[12] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კერძო ნაწილის სახელმძღვანელო., მ.მამნიაშვილი., ჯ.გახოკიძე, 2012., გვ 47

[13] განმარტებითი ბარათი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ., თბილისი, 2015., გვ 8.

მისთვის სასურველ სხვა ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე; გ) გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა; დ) არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს. მოწმის აღნიშნული უფლება ასევე გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილით, არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი, ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით. ე) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში; ვ) მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება. მოწმე ვალდებულია: ა) გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით; ბ) უპასუხოს დასმულ შეკითხვებს; გ) არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ; დ) დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს; ე) სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი; მოწმე შეიძლება იძულებით მიიყვანონ სასამართლოში ამ კოდექსით დადგენილი წესით. სსსკ-ის 75-ე მუხლის თანახმად, მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის, ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები, ასევე თუ პირის მიერ გამოკითხვისას მიწოდებულ ინფორმაციასა და მის ჩვენებას შორის ან მოწმის ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობაა, მხარე უფლებამოსილია მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების/ჩვენებების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე. მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მოწმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს ამ კოდექსის 83- ე მუხლით დადგენილი წესით. სისხლის სამართლის პროცესში ასევე არსებობს ირიბი ჩვენება, რომელიც სსსკ-ის 76-ე მუხლშია მოცემული, სისხლის სამართლის პროცესში ირიბი ეწოდება მოწმის ისეთ ჩვენებას, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია. სასამართლოში

საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.

მოწმის მიერ მიცემულ ჩვენება შესაძლოა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მტკიცებულება აღმოჩნდეს. მოწმე არ შეიძლება ჩანაცვლდეს სხვა პირით, სწორედ ეს ანიჭებს მოწმის სტატუს განსაკუთრებულ ხასიათს, ვინაიდან პროცესის სხვა მონაწილეები როგორებიცაა მაგალითად, თარჯიმანი, ექსპერტი, მათი ფუნქციების განხორციელება შესაბამისი განათლების და კვალიფიკაციის მქონე ნებისმიერმა სხვა პირმა შეიძლება განახორციელოს. ამასთან, მოწმე პროცესის მწარმოებელ ორგანოს აწვდის არა საკუთარ მოსაზრებას ან დასკვნებს, როგორც ექსპერტი, თარჯიმანი, არამედ უშუალოდ მის მიერ ნანახ ან გაგონილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ ინფორმაციას. ფუნდამენტალური ცვლილებები განიცადა მოწმის გამოკითხვა-დაკითხვის წესმა გამოძიების ეტაპზე. ნებისმიერი პირისგან შეიძლება მივიღოთ ჩვენება, გარდა სპეციალური მოწმისა. კანონი აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს მოწმის ფუნქციებიდან გამომდინარე. პირი, მოწმის სახით პროცესში მონაწილეობისათვის უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს: მას უნდა გააჩნდეს უნარი აღიქვას, დაიმახსოვროს, გაიხსენოს და მოგვიანებით გადმოსცეს საქმისათვის საჭირო მონაცემი. მას ასევე უნდა ესმოდეს ვალდებულება, თქვას მხოლოდ სიმართლე. საქმისათვის საჭირო მონაცემი პირს უნდა გააჩნდეს საკუთარი აღქმის საფუძველზე და შეეძლოს მისი გადმოცემა. მოწმის მიერ მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს გარკვეულ ფაქტებზე დაყრდნობილი, რომელიც საქმისათვის მნიშვნელოვანია და არ უნდა იყოს მხოლოდ მოწმის აზრი, შეხედულება ან მისი პირადი დასკვნები. მოწმე არის პიროვნული მტკიცებულება.[14] პირისათვის მოწმის პროცესუალური სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია გარკვეულ წინაპირობებზე, რაც მდგომარეობს მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებაში. პირი მოწმის უფლება-მოვალეობებს იძენს მას შემდეგ, როდესაც მას მოსამართლე და ასევე გამომძიებელი, ზოგიერთ საქმეზე სათანადო წესით გააფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის

---

[14] ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015., გვ. 293.

თქმისთვის, ასევე ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხის-მგებლობის თაობაზე და იგი დადებს ფიცს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. გათვალისწინებულ შემთხვევაში მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. პროკურორი უფლებამოსილია მაგისტრატ მოსამართლეს შუამდგომლობით თავად მიმართოს ან შუამდგომლობით მიმართვა გამომძიებელს დაავალოს. სსსსკ-ის 114-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამოძიების სტადიაზე როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი, თუ ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს; ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს; გ) არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს; დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. როდესაც ბრალდების მხარე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე აყენებს შუამდგომლობას გამოსაკითხი პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე სსსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რომელზეც ზემოთ არის საუბარი, დაცვის მხარე არ ესწრება მოწმის დაკითხვას ,, ვინაიდან ეს არ არის საქმის განხილვის ეტაპი, რეალურად საქმე გვაქვს საგამოძიებო მოქმედების, მოწმის დაკითხვის სასამართლო დარბაზში გადატანასთან, რაც მოწმის დაცულობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზა-ციისათვის მნიშვნელოვანი სიახლეა. თუმცა დაცვის მხარეს აუცილებლად

მიუწვდება ხელი ამგვარი დაკითხვის ოქმზე. უფრო მეტიც, მას წინასასამართლო სხდომაზე შეუძლია, მოითხოვოს ამ ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა, საქმის არსებითი განხილვისას კი უფლება აქვს, ჯვარედინი წესით დაკითხოს იგივე მოწმე და გამოავლინოს შეუსაბამობები მის მიერ სხვადასხვა დროს მიცემულ ჩვენებებს შორის. ამ მიზნით მხარეს შეუძლია, მოითხოვოს მოწმის მიერ მაგისტრატი მოსამართლისათვის მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა ისე, რომ არ დასჭირდეს იმის მტკიცება, რომ ეს ჩვენება მუქარის ან ზეწოლის შედეგად არის მიღებული. ეს წესი კანონპროექტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს და სრულად იცავს დაცვის მხარის უფლებებს.” [15] თუ მოწმე არ გამოცხადდა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მისაცემად, მისი გამოკითხვის გზით მიღებული ინფორმაციის ან გამოძიების დროს ამ კოდექსის 114-ე მუხლის შესაბამისად მიცემული ჩვენების საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა დასაშვებია, აგრეთვე მიღებული ინფორმაციის/ჩვენების აუდიო, ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწმე გარდაიცვალა, საქართველოში არ იმყოფება, მისი ადგილსამყოფელი უცნობია, ან ამოწურულია სასამართლოს წინაშე მისი წარდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა და გამოკითხვა/დაკითხვა ამ კოდექსით დადგენილი წესით ჩატარდა. არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად მხოლოდ აღნიშნული მტკიცებულება დაედოს. კანონმდებლის მიერ შემოღებული ნოვაცია, რომელიც ითვალისწინებს მოწმის დაკითხვას მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელზეც ნაშრომის აღნიშნულ თავშია საუბარი, ამ ცვლილებით პოლიციას გაუჭირდება დამნაშავეს დაუმტკიცოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, რადგან მოწმის, ან თვითმხილველის მიერ ჩვენების მიცემის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის ფაქტორს. აქ მნიშვნელოვანი ასპექტია, თუ როდის არის სასურველი დაკითხვა უშუალოდ ფაქტის მოხდენის შემდგომ, თუ რამოდენიმე დღის შემდეგ. მეხსიერების მუშაობის კანონზო- მიერებებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია, რომ პიროვნების დაკითხვა მოხდეს ფაქტის მოხდენიდან, რაც შეიძლება მალე,

---

[15] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5061 თბილისი, 2015.30.11., გვ 1.

ვინაიდან დროის გასვლის შემდეგ, შესაძლებელია ადამიანს დაავიწყდეს მნიშვნელოვანი ასპექტები, მოწმის შემთხვევაში მოვლენათა აღდგენა უარესდება დროის გასვლასთან ერთად.[16] აღნიშნული წესით ბრალდების მხარეს ერთმევა შესაძლებლობა მოწმე მომხდარი ფაქტიდან უმოკლეს ვადაში დაკითხოს, თუ მოწმე გამოძიებასთან არ თანამშრომლობს და უწევს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა და დაასაბუთოს, რომ პირი ფლობს ინფორმაციას გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებით და მისგან მიღებული ინფორმაცია გამოძიებას დაეხმარება სისხლის სამართლის საქმის გახსნაში, რაც უდაოდ მოითხოვს დამატებით დროს და რესურსებს, რის გამოც მოწმემ შესაძლოა ვეღარ აღიდგინოს ზედმიწევნით მომხდარი მოვლენები დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით.

1.7. არასრულწლოვანი მოწმე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად არასრულწლოვანი მოწმე არის 18 წლამდე ასაკის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. არასრულწლოვანი მოწმე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შეიძლება დაიკითხოს, თუ მას შეუძლია სიტ-ყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. ასაკისაგან განურჩევლად, ნებისმიერ ბავშვს უნდა მოეპყრან, როგორც ქმედუნარიან მოწმეს, რომელიც შეიძლება იყოს დაკითხულ/გამოკითხული. ბავშვის ჩვენებები არ უნდა ჩაითვალოს არასარწმუნოდ ან ბათილად მხოლოდ იმის გამო, თუკი ის გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას დამხმარე საშუალებების გამოყენებით ან მათ გარეშე.[17] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდესის 52-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნის გამოკითხვისას და დაკითხვისას მოქმედებს საქართველოს სისხლის

---

16 საგამოძიებო საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტები, 2015, გვ 107.

17 დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა, 2014, გვ 21.

სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი, მაგრამ არ გაითვალისწინება იმავე კოდექსის 114-ე მუხლის მე-2 და მე-4 მუხლისა და 332-ე მუხლის დებულებები. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე გამოსაკითხი პირის მოწმედ დაკითხვის შესაძლებლობას. ვინაიდან დაზარალებული და მოწმე ბავშვები ხშირად ინფორმაციის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენენ განხორციელებული სამართალდარღვევის საქმეში, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რამდენად კარგად შეუძლიათ მათ სტრესული გამოცდილების დახსომება და აღწერა-გადმოცემა.[18] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ იძლევა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში არასრუწლოვნის ღამის საათებში დაკითხვა/გამოკითხვის შესაძლებლობას, აღნიშნული პრობლემას შექმნის პრაქტიკაში.

არასრულწოვანი მოწმის დაკითხვა/გამოკითხვისას, სავალდებულოა კანონიერი წარმომადგენელი, სურვილისამებრ: ადვოკატი, თუ გადახდისუუნაროა, უნდა დაუნიშნოს სახელმწიფომ ადვოკატი სახაზინო წესით, ხოლო საჭიროებისამებრ ფსიქოლოგი. არასრულწლოვანი შეიძლება დაიკითხოს იმ შემთხვევაში, თუ მას შე-უძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. არასრულწლოვნის დაკითხვა ტარდება კანონიერი წარმომადგენლის, ან ფსიქოლოგის დასწრებით. კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 ნაწილი კრძალავს არას-რულწლოვნის დაკითხვას 22 საათიდან დილის 8 საათამდე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს აწარმოებენ სპეციალიზე-ბული პირები: გამომძიებელი, პროკურორი, ადვოკატი, მოსამართლე. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო მოქმედება არასპეციალიზებულმა პირმა განახორციელა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პირს, რომელმაც უნდა განაგრძოს პროცესი, ხოლო არასპეციალიზირებული პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ ჩამოშორდეს პროცესს. სპეციალიზებული გამომძიებელი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც მონაწილეობს არასრულწლოვანი მოწმე, ატარებს მხოლოდ იმ საგამოძიებო

---

[18] იქვე გვ 24.

მოქმედებას, რომელიც შეეხება არასრულწლოვან მოწმეს. პროფესიონალები, რომლებიც ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვას ატარებენ, რთული ამოცანების წინაშე დგანან. მათ, ერთი მხრივ, ბავშვისაგან რაც შეიძლება სრული და სარწმუნო ინფორმაცია უნდა მოიპოვონ, ხოლო მეორე მხრივ, ყურადღებით უნდა იყვნენ რათა ,,მეორე ჭრილობა'' არ მიაყენონ ბავშვს, რომელიც მის ცხოვრებაში მომხდარი, მისთვის ემოციურად მტკივნეული დეტალების შესახებ მოყოლას ცდილობს.[19]

1.8. ყრუ-მუნჯი და მძიმედ დაავადებული პირი როგორც მოწმე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 117-ე მუხლი ითვალისწინებს ყრუ მუნჯისა და მძიმედ დაავადებული პირების დაკითხვა გამოკითხვის შესაძლებლობას, კერძოდ, 1. ყრუ-მუნჯის გამოკითხვა/დაკითხვა ტარდება შესაბამისი ცოდნის მქონე თარჯიმნის მონაწილეობით. თუ გამოსაკითხი/დასაკითხი პირი ყრუა, მისთვის შეკითხვების დასმა შეიძლება წერილობით, ხოლო თუ იგი მუნჯია, მას შეუძლია შეკითხვებს პასუხები წერილობით გასცეს. 2. მძიმედ დაავადებულის გამოკითხვა/დაკითხვა ტარდება ექიმის ნებართვით და საჭიროების შემთხვევაში მისი დასწრებით. შესაძლებელია ყრუ-მუნჯის მოწმედ გამოძახება, რომელსაც აქვს უნარი, თარჯიმნის მეშვეობით ყრუ-მუნჯთა ნიშნებით მისცეს სასამართლოში ჩვენება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ყრუ-მუნჯის დაკითხვისათვის საჭიროა მოწვეული იყოს თარჯიმნის როლში ისეთი პირი, რომელიც კარგად ფლობს ამ პირთა სალაპარაკო ენას. პირებს, რომლებსაც ესმით ყრუ-მუნჯის ენა სისხლის სამართლის პროცესში ეწოდებათ თარჯიმანი. აღნიშნულ პირებზე ვრცელდება მოწმის გამოკითხვა/დაკითხვის ზოგადი წესები, კოდექსი რომელიმე სხვა გამონაკლის შემთხვევებს აღნიშნული პირების მიმართ არ ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში თარჯიმნის მოწვევის ხარჯებს მთლიანად გაიღებს სახელმწიფო. მძიმედ დაავადებული პირის დაკითხვა/გამოკითხვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ მკურნალი ექიმი

---

[19] დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა, თბილისი, 2014., გვ 50.

დართავს ნებას მხარეს დაკითხოს პირი, ექიმის ნებართვა არის წინაპირობა იმისა, რათა შესაძლებელი გახდეს მძიმედ დაავადებულის დაკითხვა, ვინაიდან თუ პირს ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს, აღნიშნულის შედეგად არ მოხდეს პირის ჯანმრთელობის გაუარესება, საჭიროების შემთხვევაში კი შესაძლებელია დაკითხვა მოხდეს ექიმის დასწრებით და დაავადებულზე მეთვალყურეობით.

1.9. დაზარალებული როგორც მოწმე

სისხლის სამართალწარმოების დროს დასაკითხი პირები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან (მოწმე, ეჭვმიტანილი, დაზარალებული). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მეხლის მე-20 ნაწილში განმარტებულია, თუ ვინ შეიძლება იყოს დაზარალებული. კერძოდ, დაზარალებული შეიძლება იყოს სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა, უშუალოდ დანაშაულის შედეგად, თუ დანაშაულის შედეგად გარდაიცვალა ადამიანი, დაზარალებულად იცნობა მისი რომელიმე ახლო ნათესავი. დაზარალებული, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში მოწმესაც წარმოადგენს ხშირ შემთხვევაში ეხმარება გამოძიებას, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ეს პირები არ იჩენენ სურვილს ითანამშრომლონ გამოძიებასთან. დაზარალებული მოწმე შეიძლება იყოს პირი, რომელიც უშუალოდ შემსწრეა იმ ფაქტის როდესაც მისი უფლებები დაირღვა. მაგალითად დანაშაულები რომლებიც მიმარ- თულია სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, სქესობრივი დანაშაულები, დაზარალებული უშუალოდ შემსწრეა დანაშაულის ფაქტის და ამ დროს იგი გვევლინება, როგორც მოწმე რომელიც სისხლის სამართლის საქმეში არის დაზარალებული. დაზარალებული მოწმის ჩვენება ხშირ შემთხვევაში ერთ-ერთი ყველაზე ღირებული მტკიცებულებაა, ვინაიდან მის ინტერესებში შედის მისი უფლებების აღდგენა და დამნაშავის დასჯა, რომელმაც მას ზიანი მიაყენა, ან საფრთხე შეუქმნა. მაგრამ, არც თუ ისე ხშირია შემთხვევები როდესაც დაზარალებული არ თანამშრომლობს გამოძიებასთან და არ იძლევა ჩვენებას, დანაშაულით მიყენებული ზარალისადმი დამოკიდებულება პიროვნების პერსონაზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა რომ დანაშაულის გამოძიება მათი უფლებების

დაცვის გარანტიაა ისინი მაინც ფარავენ გარკვეულ ფაქტებს, ან კიდევ შეგნებულად ცვლიან გარემოებებს და ამახინჯებენ მათ, მაგალითად, როდესაც დაზარალებულ მოწმედ გვევლინება ე.წ. ,,ძველი ბიჭი'' ან შავი სამყაროს წევრი უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენლები არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან. გარდა ამისა არის შემთხვევები, როდესაც ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ დაზარალებულს სურს დამალოს თავისი როლი ჩადენილი დანაშაულის მსვლელობაში ან უფრო მეტიც, ხელი შეუშალოს მომხდარისათვის სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის მინიჭებას, ვინაიდან ზოგჯერ უშუალოდ დაზარალებულის ქმედება უბიძგებს დამნაშავეს დანაშაულის ჩადენისკენ, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ მოქმედებაში. ასეთი მოქმედებებია ზიანის მიმყენებლისადმი პირველადი თავდასხმა, უხეში მოპყრობა, მოტყუება, შეურაცხყოფა, პროვოკაცია, წაქეზება და სხვა ისეთი სიტუაციის შექმნა, რომელიც შემდგომში აიძულებს დამნაშავეს დანაშაულის ჩადენას. დანაშაულის მექანიზმში დაზარალებულის როლი, შეიძლება გამოიხატებოდეს თვით დაზიანებაშიც, რომელიც გამოიხატება გაუფრთხილებლობაში, მაგალითად, დაზარალებულს აუფეთქდა თვითნაკეთი მოწყობილობ ან განზრახ ქმედებაში, თვით დაზიანება სხვაზე გადაბრალების მიზნით. ამიტომ ეჭვგარეშეა, რომ ზოგჯერ კრიმინალური სიტუაცია წარმოიქმნება, არა მარტო დამნაშავის, არა- მედ დაზარალებულის მიზეზითაც.[20]

იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებული მოწმე სწორად ვერ საზღვრავს დაკითხვის მიზანს, რომ დაზარალებულის ჩვენება წარმოადგენს არა მარტო მტკიცებულების წყაროს, არამედ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ინტერესების დაცვის საშუალებას, ან როდესაც მის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება საქმის გარემოებებთან დაკავშირებით პირდაპირ წინააღმდეგობაშია მის პირად ინტერესებთან, კანონმდებლის მიერ ახალი ნორმის შემოღება, რომ გამოძიების დროს მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებშია შესაძლებელი მოწმის დაკითხვა, ისიც მხარის შუამდგომლობით და მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, დასახელებული წესის

---

[20] დეკანოზიშვილი გ., დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, თბილისი, 2014, გვ 108.

ამოქმედება მხოლოდ და მხოლოდ გაართულებს მხარის მიერ გამოძიების ეფექტურად ჩატარებას და საქმეზე ჭეშმარიტების დად- გენას, რადგან სისხლის სამართლის საქმეზე, ინფორმაციის მიღების ყველაზე ეფექტური საშუალება მაინც მოწმის ჩვენებაა.

1.10. პირი, რომელიც არ არის ვალდებული იყოს მოწმე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთაც არ შეიძლება დაეკისროთ მოწმედ დაკითხვისა და საქმი-სათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივ-თიერების ან სხვა ობიექტის გაცემის ვალდებულება. სსსკ-ის 50-ე მუხლი ადგენს იმ პირთა წრეს, რომლებიც არ არიან ვალდებულნი იყვნენ მოწმეები, აღნიშნული მუხლის თანახმად,[21] მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება: ა. ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ბ. ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით; გ. სასულიერო პირს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად; დ. ბრალდებულის ახლო ნათესავს; ე. სახალხო დამცველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს; დ. საქართველოს პარლამენტის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს; ე. მოსამართლეს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც სასამართლოს თათბირის საიდუმლოებაა; ვ. ჟურნალისტს – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით; ზ. ადამიანით ვაჭრობის

---

21 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

(ტრეფიკინგის) მსხვერპლს – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში; თ. საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას, თუ იგი არ დათანხმდება, მისცეს ჩვენება. ი. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს. ამასთანავე, არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება. ზემოთ ჩამოთვლილი პირები უპირობოდ სარგებლობენ უფლებიით, არ გამოვიდნენ სასამართლოში მოწმის სტატუსით, ამ შემთხვევაში კანონის მოთხოვნა იმპერატიული ხასიათისაა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება განთავისუფლდნენ მოწმედ დაკითხვის მოვალეობისაგან თუკი ამას სასამართლო ჩათვლის საჭიროდ, ა. სასამართლოს უფლება აქვს, მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლოს: ბ. სამედიცინო მუშაკი, თუ მას პროფესიულად ევალება საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა; გ. ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი, თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება, არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი; დ. პირი, რომელიც სამუშაო- ზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან საბანკო საი- დუმლოებას; კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის მონაწილე პირი (მის პროფესიულ მოვალეობასთან დაკავშირებით), რომლის საქმიანობაც გასაი- დუმლოებულია და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება. როგორც უკვე აღინიშნა, მოწმის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან გარკვეული პროფესიის მქონე და ბრალდებულთან ახლო ნათესაურ კავშირში მყოფი პირები. სისხლის სამართლის პროცესში მოწმედ მონაწილეობის ვალდებულებისაგან გამონაკლისის დაშვებით, კანონმდებელი ინტერესთა კოლიზიის ცალკეულ შემთხვევებში მართლმსაჯულების ინტერესებზე უფრო მაღლა აყენებს ზემოხსენებული პირების კანონიერ ინტერესებს. გარდა ამისა, აღნიშნული

გამონაკლისი ემსახურება სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლის დადგენასაც, რადგან სავსებით მოსალოდნელია, რომ პირმა ბრალდებულთან ახლო ნათესაური დამოკიდებულების ან პროფესიული მოვალეობების გამო იცრუოს დაკითხვის დროს ან მისცეს სასამართლოში არასრული ჩვენება. მოწმის ვალდებულებისაგან გათავისუფლება ნიშნავს იმას, რომ პირს არ ეკისრება მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება. თუ პირი ისარგებლებს ამ უფლებით, მის მიერ მოწედ მონაწილეობაზე უარის თქმა დაუშვებელია გამოყენებული იქნეს თავად ამ პირის ან ბრალდებულის წინააღმდეგ. მსგავსად ამისა, თუ პირი მოწმედ მონაწილეობაზე უარის თქმის შემდეგ მაინც გადაწყვეტს ბრალდებულის სასარგებლოდ ჩვენების მიცემას, დაუშვებელია ასეთი მოწმის სანდოობა ეჭვქვეშ დადგეს იმ მიზეზით, რომ მან მოწმედ მონაწილეობაზე თავდაპირველად უარი განაცხადა.[22] ბრალდებულის ახლო ნათესავის მიერ, მოწმედ მონაწილეობაზე უარის თქმის შეუზღუდავი უფლება გარანტირებულია ასევე საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 ნაწილით, კერძოდ, არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით. ამით კანონმდებელი უპირველეს ყოვლისა ანგარიშს უწევს პირის კანონიერ ინტერესს, არ გამოვიდეს მოწმედ საკუთარი ახლო ნათესავის წინააღმდეგ. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა იცავს უშუალოდ ამ პირს ,,პრობლემატური'' ჩვენებისაგან.[23] ადვოკატს კანონმდებელი ათავისუფებს ვალდებულებისაგან იყოს მისცეს ჩვენება იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ან რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით, უფლებამოსილია დაფაროს სიმართლე და არ თქვას ყველაფერი რაც მისთვისაა ცნობილი, მაგრამ რასაც

---

[22] https://mimomxilveli.wordpress.com/tag/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%94/თბილისი, 2012. გვ 1.

[23] იქვე, გვ. 1.

იგი იტყვის ან წარადგენს სასამართლოში, არ უნდა იყოს სიცრუე და სიყალბე. ზემოთ ჩამოთვლილი პირებისთვის, აღნიშნული უფლების მინიჭებით კანონმდებელმა მათი კანონიერი ინტერესი უფრო მაღლა დააყენა ვიდრე მართლმსაჯულების ინტერესი და ამით ხაზი გაუსვა კიდევ ერთხელ დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპს, ასევე თავი დაიზღვია მოსალოდნელი საფრთხისაგან, აემაღლებინა გამოძებისთვის მათ მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდების საფრთხე, რადგან სავსებით მოსალოდნელი და ეჭვგარეშეც შეიძლება იყოს, რომ პირმა ბრალდებულთან ახლო ნათესაური დამოკიდებულების ან პროფესიული მოვალეობების გამო იცრუოს დაკითხვის დროს ან მისცეს არასრული ჩვენება. სსსკ-ის 50-ე მუხლის აღნიშნულ ნორმას, აქვს გარკვეული მიზანი და ემსახურება დემოკრატიის აუცილებელი ელემენტის, თავისუფლების დაცვას.

თავი II. გამოკითხვა/დაკითხვის წარმოება სისხლის სამართლის პროცესში

2.1. გამოკითხვა/დაკითხვის მოქმედი წესი

ცნობილი ინგლისელი იურისტი და ფილოსოფოსი ჯერემი ბენტამი ამბობდა: ,,მოწმე, ეს არის მართლმსაჯულების ყური და თვალი. მოწმის ჩვენებას აქვს მაგიური ძალა, რომელსაც შეუძლია საქმის მთლიანი მსვლელობა შეცვალოს.'' საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, „მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი.“ პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-

მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. გამოკითხვა ყოველთვის წინ უსწრებს დაკითხვას, უფრო მეტიც პირის გამოკითხვისას მიღებული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში ხდება წინაპირობა იმისა, რომ პირი დაიკითხოს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის სტატუსით. საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ, 2009 წლის ოქტომბერში მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც სისტემურად განსხვავდებოდა მანამდე მოქმედი 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან, დაინერგა მრავალი ნოვაცია, 1998 წლის საპროცესო კოდექსი აგებული იყო ინკვიზიციურობის პრინციპზე, ხოლო 2009 წელს შემუშავებული კოდექსი აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპზე.

2009 წელს მიღებული საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლით, განისაზღვრა ახალი საპროცესო მოქმედება გამოკითხვა, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მანძილზე მხარეებს აქვთ შესაძლებლობა ნებაყოფლობით გამოკითხონ ნებისმიერი პირი, ვინც შეიძლება ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლის თანახმად, „1. ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხულ იქნეს მხარეთა მიერ. დაუშვებელია, გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია. 2. გამოსაკითხ პირს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, არ გასცეს ინფორმაცია საკუთარი თავის ან/და ახლო ნათესავის წინააღმდეგ. გამოკითხვის ჩამტარებელმა მხარემ გამოსაკითხ პირს ამ უფლებების, აგრეთვე ამ კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების შესახებ განმარტება გამოკითხვის დაწყებამდე უნდა მისცეს. 3. გამოკითხვის წინ უნდა დადგინდეს გამოსაკითხი პირის ვინაობა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია. ეს ინფორმაცია უნდა აღინიშნოს გამოკითხვის ოქმში. 4. გამოკითხვის ჩამტარებელი მხარე ვალდებულია გამოსაკითხ პირს განუმარტოს, რომ გამოკითხვა ნებაყოფლობითია. განმარტების შესახებ უნდა აღინიშნოს გამოკითხვის ოქმში. 5. გამოსაკითხი პირი გამოკითხვაზე როგორც თანხმობის, ისე უარის თქმის შემთხვევაში ვალდებულია გამომკითხველს თავისი პირადი მონაცემების შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს. 6.

გამოსაკითხი პირი გამოკითხვაზე თანხმობის შემთხვევაში ვალდებულია გამოკითხვის ჩამტარებელ მხარეს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს. 7. გამოკითხვის ჩამტარებელი მხარე ვალდებულია გამოსაკითხი პირი წერილობით გააფრთხილოს ცრუ დასმენისათვის და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. გაფრთხილების შესახებ უნდა აღინიშნოს გამოკითხვის ოქმში. 8. თუ გამოკითხვას ბრალდების მხარე ატარებს, გამოსაკითხი პირის მიერ გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია განუმარტოს გამოსაკითხ პირს, რომ ის შეიძლება დაბარებულ იქნეს მაგისტრატ მოსამართლესთან ჩვენების მისაცემად, რომ ჩვენების მიცემა სავალდებულოა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს გამოსაკითხი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ეს ინფორმაცია უნდა აღინიშნოს გამოკითხვის ოქმში. 9. გამოკითხვისას შესაძლებელია ხმის ან/და გამოსახულების ჩამწერი ტექნიკური საშუალებების გამოყენება. გამოსაკითხ პირს მათი გამოყენების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს გამოსაკითხი პირის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვის შესაძლებლობას, როდესაც იგი არ თანამშრომლობს გამოძიებასთან, კერძოდ, ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. ამ მუხლით დადგენილი წესით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ჩვენების მიცემა სავალდებულოა. ჩვენების მიცემაზე უარის თქმა იწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. როდესაც გამოსაკითხი პირი იკითხება მაგისტრატი მოსამართლის წინაშე სსსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძლზე, 114-ე მუხლის მე-4 ნა- წილის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. პროკურორი

უფლებამოსილია მაგისტრატ მოსამართლეს შუამდგომლობით თავად მიმართოს ან შუამდგომლობით მიმართვა გამომძიებელს დაავალოს. მხარე შუამდგომლობით მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის, ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით. შუამდგომლობაში აღინიშნება მოწმის სახელი, გვარი, მისამართი და პირის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია, აგრეთვე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მისი მოწმედ დაკითხვის საფუძველი. სსსსკ-ის 114-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, დაცვის მხარე მოწმის დაკითხვას არ ესწრება, თუ მოწმე იკითხვება 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. სსსსკ-ის 114-ე მუხლის თანახმად, პროკურორის ან მისი დავალებით გამომძიებლის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის მტკიცებულებები, გამოსაკითხი პირის მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის შესახებ, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ გარემოებებს: თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი და აღნიშნული პირი გამოკითხვაზე უარს აცხადებს. აღნიშნული სტანდარტი ჰგავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, იმ განსხვავებით, რომ დანაშაულის ჩადენის მაგივრად აქ დანაშაულის გარემოებათა შესახებ ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტს ეფუძვნება ვარაუდი, აღნიშნულით ფაქტიურად ახალი მტკიცებულებითი სტანდარტი ჩამოყალიბდა. მოწმის მიერ მო- ცემული ჩვენება დიდ სამსახურს უწევს საგამოძიებო ორგანოებს და სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენაში. სისხლის სა- მართლის საქმეზე რეალობასთან მაქსიმალურად ახლოს მყოფი ცნობების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის პირველწყაროდან, პირისგან რომელიც მომ- ხდარს უშუალოდ შეესწრო, დაინახა, მოისმინა კონკრეტული გარემოებები, რომელიც საქმესთან კავშირშია. სწორედ ამიტომ, მოწმის როლი მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და გახსნის კუთხით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლი ადგენს დაკითხვის ზოგად წესებს: ა. დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო ადგენს მოწმის ვინაობას. სასამართლო ფიცის დადების შემდეგ მოწმეს განუმარტავს, რა უფლება-მოვალეობები აქვს მას, რა საქმეზეა იგი გამოძახებული, რომ იგი ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც

იცის საქმესთან დაკავშირებით და აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე განუმარტავს, რომ იგი ვალდებული არ არის, მისცეს დანაშაულის ჩადენაში თავისი თავის ან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება. სასამართლო ასევე ადგენს, რა დამოკიდებულება აქვს მოწმეს ბრალდებულთან და დაზარალებულთან. ბ. მოწმე შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ იმ გარემოების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. გ. თუ მოწმეს უჭირს სიტყვიერად აღწეროს მოვლენა, რომლის თვითმხილველიც იგი იყო, მას შეუძლია თავისი ჩვენება ჩამოაყალიბოს სხვა ნიშნობრივი ფორმით, სახელდობრ, ნახაზის, სქემის, ჩანახატის ან სხვა ამგვარი სახით. დ. დაკითხვისას მოწმეს შეუძლია გამოიყენოს დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვის შუამდგომლობის დაყენების წესი, მოსამართლის შუამდგომლობის დაყებენის თაობაზე გაჩინების გამოტანის წესი და მოწმის მოსამართლის წინაშე დაკითხვის ვადები განსაზღვრულია სსსსკ-ის 114-ე მუხლის მე-6; მე-7; მე-8 და მე-9 ნაწილებით, კერძოდ: სსსსკ-ის 114-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლე შუამდგომლობას ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოწმე უნდა დაიკითხოს გონივრულ ვადაში, მაგრამ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ეს ვადა დაკითხვის ინიციატორ მხარესთან შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს, თუ მოწმე დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება სასამართლოში. დაუშვებელია მოწმის ღამით დაკითხვა. დაწყებული დაკითხვა ღამის დადგომისთანავე უნდა შეწყდეს და მეორე დღისთვის უნდა გადაიდოს. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში მაგისტრატ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება და მას დაკითხვის ინიციატორ მხარეს უგზავნის/გადასცემს. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 24 საათში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნუ- ლად, მისი შეტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხ- ვევაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის

მოსამართლის განჩინება დაუყოვნებლივ ეგზავნება საჩივრის ავტორს და გასაჩივრებული განჩინების გამომტან მაგისტრატ მოსამართლეს. ამ შემთხვევაში მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვა უნდა დაიწყოს გონივრულ ვადაში, მაგრამ მაგისტრატი მოსამართლისთვის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინების გადაცემიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ეს ვადა დაკითხვის ინიციატორ მხარესთან შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს, თუ მოწმე დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება სასამართლოში, სსსსკ-ის 114-ე მუხლის მე-7 ნაწილი. ამ მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო მოწმედ დასაკითხ პირს იძახებს უწყებით, ტელეფონით ან კომუნიკაციის სხვა ტექნიკური საშუალებით. გამოძახების შესახებ უწყებაში/სხვა შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს, ვინ, რა მიზნით, ვისთან და რა მისამართზე არის გამოძახებული, ზუსტი დრო, როდესაც ის უნდა გამოცხადდეს, აგრეთვე რა შედეგები მოჰყვება არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას. მოწმის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოქმედებს ამ კოდექსის 149-ე მუხლით დადგენილი წესი. დაკითხვის ინიციატორი მხარე უფლებამოსილია მოწმედ დასაკითხი პირის წერილობითი თანხმობით თავად უზრუნველყოს მაგისტრატ მოსამართლესთან მისი წარდგენა, სსსსკ-ის 114-ე მუხლის მე-8 ნაწილი, პირის მოწმედ დაკითხვა მხარეთა მონაწილეობით მიმდინარეობს. დაკითხვის ინიციატორი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოწმე არ დაიკითხება. მეორე მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს დაკითხვის წარმოებას. მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე ან/და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების, პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობითა და მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის დაკითხვა ჩატარდეს მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. ამ შემთხვევაში მოწმის მიერ მიცემული ჩვენება სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა, სსსსკ-ის 114-ე მუხლის მე-9 ნაწილი. 114- ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გამოძიების სტადიაზე მხარეთა შუამდგომლობით გამოძიების

ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაკითხულ იქნეს პირი, თუ:

ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებით განხილვის დროს.

ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას.

გ) საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება საჭიროებს არაგონივრულ ძალისხმევას.

დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

სწორედ აღნიშნული გარემოებების არსებობა განაპირობებს მოწმის დაკითხვას გამოძიების სტადიაზე. მხარე, იქნება ეს ბრალდების თუ დაცვის, თავად იღებს გადაწყვეტილებას მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით მოწმის გამოძიების ეტაპზე დაკითხვის მოთხონით, თუ სახეზე იქნება ზემოთ ჩამოთლილი ოთხი გარემოებიდან ერთ-ერთი მაინც, გარდა გამოსაკითხი პირის მოწმის სახით დაკითხვის შესაძლებლობისა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, რომელსაც ითვალისწინებს სსსსკ-ის 114 მუხლის მე-2 ნაწილი, აღნიშნული მხოლოდ ბრალდების მხარის უნივერსალური უფლებაა. შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს დოკუმენტები, რაც დაადასტურებს იმას, რომ მოწმის სახით დასაკითხი პირი ფლობს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და ასევე დოკუმენტები, რომელიც დაადასტურებს გამოძების ეტაპზე მოწმის დაკითხვის აუცილებლობას.

2.2. მხარეთა მონაწილეობა დაკითხვაში

სასამართლოს განაჩენი ემყარება უტყუარ მკიცებულებათა ერთობლიობას, ამ მტკიცებულებათაგან ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მოწმის ჩვენებას. მოწმე ჩვენებას იძლევა გამოძიების ეტაპზე და სასამართლო განხილვის დროს. დაკითხვა მიმდინარეობს კითხვა-პასუხისა და თავისუფალი თხრობის რეჟიმში, საპროცესო

კანონმდებლობით აკრძალულია მოწმის დაკითხვის დროს ნებისმიერი სახის მიმანიშნებელი კითხვების დასმა. ,,იმ შემთხვევებში, თუ მოწმე უარს იტყვის ნება-ყოფლობითი გამოკითხვის ფარგლებში ჩვენების მიცემაზე, ბრალდების მხარეს აქვს უფლება, შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს და მის წინაშე უკვე სავალდებულო წესით დაკითხოს იგივე პირი. დაცვის მხარე არ ესწრება მოწმის დაკითხვას მაგისტრატ მოსამართლესთან, ვინაიდან ეს არ არის საქმის განხილვის ეტაპი, რეალურად საქმე გვაქვს საგამოძიებო მოქმედების, მოწმის დაკითხვის სასამართლო დარბაზში გადატანასთან''. [24] იმ შემთხვევაში, როცა მოწმის დაკითხვა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე ხდება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, დაცვის მხარე უფლებამოსილია წინასასამართლო სხდომაზე დააყენოს შუამდგომლობა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ დაკითხული პირის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ პირი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოქმედ კანონის არსებითი დარღვევით დაიკითხა. მხარეს, წინასასამართლო სხდომაზე შეუძლია იშუამდგომლოს დაკითხული მოწმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე, თუ მისი აზრით: ა) არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული დასაბუთებული ვარაუდი, ან/და ბ) არსებობს მტკიცებულების დაუშვებლად მიჩნევის სსსკ-ით გათვალისწინებული სხვა საფუძველი;[25]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლი ითვალისწინებს გამოძიების სტადიაზე, საჭიროების შემთხვევაში, გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით, ბრალდების და დაცვის მხარის მიერ, პირის მოწმედ დაკითხვას სასამართლოს წინაშე. როგორც უკვე აღვნიშნე მოწმის დაკითხვას სასამართლოში იმ შემთხვევაში, თუ მოწმე უარს ამბობს ნებაყოფლობით გამოკითხვაზე არ ესწრება დაცვის მხარე, თუმცა დაცვის მხარეს აძლევს ექსკლუზიურ უფლებას წინასასამართლო სხდომაზე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დააყენოს

---

[24] იუსტიციის სამინისტროს განცხადება, თბილისი, 2015.19.11.

[25] სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ერთობლივი სხდომა.,მე-17 სხდომის ოქმი, თბილისი., გვ 2.

შუამდგომლობა მოწმედ დაკითხული პირის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, თუ იგი ჩათვლის, რომ მოწმე კანონის არსებითი დარღვევით დაიკითხა. ამ უფლების მინიჭებით დაცვის მხარისთვის კანონმდებელი გარკვეულწილად აბალანსებს იმ უმნიშვნელო უპირატესობას, რაც ბრალდების მხარეს ამ შემთხვავაში მიანიჭება. გამოძიების სტადიაზე, როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე სსსსკ-ის 114-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ასევე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი, თუ მის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება და ამ გარემოებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს, იგი ტოვებს საქართველოს ტერიტორიას დიდი ხნით, არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, სასამართლოში მოითხოვოს მოწმის უშუალოდ დაკითხვა და წარადგინოს საკუთარი მტკიცებულება. პირის მოწმედ დაკითხვა მხარეთა მონაწილეობით მიმდინარეობს შემდეგი გარემოებების არსებობისას: არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს, ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით; დასაკითხი პირი გამოძახებულია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი წესით. დაკითხვის ინიციატორი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოწმე არ დაიკითხება. მეორე მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს დაკითხვის წარმოებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, მოწმე შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ იმ გარემოების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, მხარეებს შეუძლიათ დასაკითხ პირს მოსთხოვონ დოკუმენტი, ჩანაწერი, ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელსაც იგი იყენებდა დაკითხვისას, ხოლო შემოწმების შემდეგ დაუბრუნონ მას ან დაურთონ საქმეს. დაკითხვისას მხარეებს შეუძლიათ მოწმეს

წარუდგინონ საქმეზე დართული საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

თავი III. გამოძიების ეტაპზე მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების შედარებით სამართლებრივი ანალიზი

შედარებითი სამართლებრივი ანალიზისთვის შევარჩიე ის ქვეყნები რომელოს განხილვის დროს ნათლად და მკაფიოდ ჩანს თუ როგორი მდგომარეობა იყო სხვადასხვა სახელმწიფოებსა თუ ქვეყნებშიდა რა სამართლებრივი მიდგომა ხორციელდებოდა მოწმის მიმართ, რომელიც არ თანამშრომლობს გამოძიებასთან. სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში მოწმეთა უფლებების საკითხს ნაკლები ყურადღება ექცეოდა ადამიაის უფლებატა საერთაშორისო სამართალში, ზოგადად მოწმის მდგომარეობა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობებში არსებითად იგნორირებულია როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე სართაშორისო

პრეცედენტულ სამართალში. სამწუხაროა ასეთი ვითარება იმის ფონზე, რომ ბევრ ქვეყანაში მოწმეები ხშირად ექვემდებარებიან სისტემურ დაშინებას, ხანგრძლივ დაკავებას და უფლებებით სარგებლობაზე უარის თქმას.

ამ მოკლე მიმოხილვისთვის ქვეყნები ისე შევარჩიე, რომ გვეჩვენებინა არამოთანამშრომლე მოწმის პრობლემისადმი სხვადასხვა მიდგომა. ინგლისი და უელსი შევარჩიე იმიტომ, რომ წარმომეჩინა საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკა, როდესაც მოწმის მიმართ საერთოდ არავითარ იძულებას არ იყენებენ. მოწმის დაცვის მსგავსი მოიპოვება შოტლანდიის, ირლანდიის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონებში. კანადამ ამ სირთულეს თავი დააღწია საერთო სამართლის ქვეყნებში ჩვეულებრივ არსებული პრაქტიკის შენარჩუნებით

3.1. მოწმეთა სამართლებრივი მდგომარეობა გერმანიაში

გერმანიის პოლიციას არ აქვს უფლება, მოწმეთა მიმართ გამოიყენოს იძულება მათი გამოცხადების მიზნით. პირი შეიძლება დააკავნონ ბრძანების გარეშე და მიიყვანონ პოლიციის განყოფილებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას წაასწრეს სისხლის სამართლის დასჯადი ქმედების ჩადენისას ან უშუალოდ ჩადენის შემდეგ. შესაბამისად პოლიაციასთან თანამშრომლობა მთლიანად მოწმის ნებაზეა დამოკიდებული. ეს არის გამოძახილი იურისპრუდენციის პრინციპებში იმ ბოლოდროინდელი ცვლილებებისა, რომ მოწმეებს აღარ განიხილავენ, როგორც მტკიცებულების ობიექტს, არამედ როგორც სისხლის სამართლის სუბიექტს.

უწყების მიღების შემთხვევაში, მოწმე ვალდებულია, გამოცხადდეს პროკურატურაში და მისცეს ახსნა-განმარტება საქმეზე, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს. ყველა ვისაც დაიბარებენ მოწმის სახით სასამართლოში ან პროკურატურაში, ვალდებულია მისცეს ჩვენება იმის მიუხედავად, მისი აზრით იცის თუ არა რაიმე შესაბამის საკითხზე. მაგრამ ფიცის ქვეშ დაკითხვის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ მოსამართლეს და არაპოლიციას ან პროკურატურას. თუ არსებობს საფრთხე, რომ მოწმე ვერ გამოცხადდება, სასამართლო პროცესზე, მის ახსნა-

განმარტებას ფიცის ქვეშ ისმენს მოსამართლე, ხოლო შემდგომში ან ახსნა-განმარტებას წაიკითხავენ სასამართლო პროცესზე. ა,შემთხვევაში, მოსამართლემ თავდაპირველად უნდა განუმარტოს მოწმეს უფლება, არ მისცეს ჩვენება თუ იგი მიეკუთვნება პრივილეგიით მოსარგებლე პირთა კატეგორიას.

დაკითხვის ყველა მნიშვნელოვანი მომენტი უნდა დაფიქსირდეს სიტყვა-სიტყვით, კითხვებიც და პასუხებიც. კოდექსი ადგენს დეტალურ წესებს მოწმის დაკითხვისთვის სასამართლოში, მაგრამ პროკურატურის მიერ დაკითხვის შემთხვევაში კოდექსი მხოლოდ რეკომენდაციას იძლევა, რომ პროკურატურამ იგივე წესი გამოიყენოს. დაპირისპირება სხვა მოწმესთან ან ბრალდებულთან, დასაშვებია, წინასასამართლო სხდომის ეტაპზე, თუ ეს აუცილებელია გამოძიების მიზნებისთვის. პოლიციის მიერ დაკითხვა ნაკლებად ფორმალურია, მაგრამ დაკითხვის ჩანაწერის შედგენა სავალდებულოა.

მოწმეს, რომელიც სასამართლოში აძლევს ჩვენებას, შეიძლება მიეჩინოს დამცველი მისი ინტერესების დასაცავად, მაგრამ ჩვენების მიცემაზე უარის თქმას შეიძლება სერიოზული შედეგები მოყვეს. მოწმე, რომელიც კანონით განსაზღვრული საპატიო მიზეზის გარეშე უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე ან ფიცის დადებაზე სასამართლოში, დაეკისრება ყველა იმ ხარჯის გადახდა, რაც გამოიწვია მის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმამ და აგრეთვე ჯარიმა. ჯარიმის გადაუხდელობა გამოიწვევს ,,იძულებით პატიმრობას“. პატიმრობის შეფარდების მიზანია, მოწმის იძულება მისცეს ჩვენება, მაგრამ პატიმრობა არ უნდა აღემატებოდეს მიმდინარე საქმეზე სამართალწარმოებს ხანგრძლივობის ვადას და შეიძლება გაგრძელდეს, არამეტეს 6 თვისა. მღვდელი, ჟურნალისტი, ექიმი და სხვა პროფესიის წარმომადგენლები, რომელთაც ეკისრებათ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება და გათავისუფლებული არიან ჩვენების მიცემისგან.[26]

---

[26] მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში., რ ვოლგერი, 2015, გვ 6-9

3.2. მოწმეთა სამართლებრივი მდგომარეობა ინგლისსა და უელსში

ინგლისში და უელსში პოლიციას არასდროს ჰქონია უფლება მშვიდობიანობის დროს დაეკავებინა ან რაიმე იძულება მიეყენებინა მოწმეთათვის. ინგლისსა და უელსში ამჟამად მოქმედი დაკავების ნორმები გაწერილია,, პოლიციისა და სისხლის სამართალში მტკიცებულებების შესახებ“ 1984 წლის კანონის 24-ე მუხლში, რომლის თანახმად, პოლიციის ,,კონსტებლს“ მოსამართლის გარეშე დაკავების უფლება აქვს მხოლოდდა მხოლოდ იმ პირებისა, რომელთა მიმართ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მათ ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული ან ჰქონდათ დანაშაულის ჩადენის მცდელობა. მთავარი პრონციპია ის, რომ პოლიციელს, რომელსაც აქვს გონივრული ეჭვი, რომ ჩადენილია დანაშაული, შეუძლია მოსამართლის ბრძანების გარეშე დააკავოს ნებისმიერი პირი, რომლის მიმართაც მას აქვს გონივრული საფუძველი იეჭვოს, რომ ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული. გარდა ამისა, კონსტებლს უნდა ჰქონდეს გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ აღნიშნული პირის დაკავება აუცილებელია. ასეთი საფუძვლის მაგალითებია: შესაბამისი პირის ვინაობის და მისამართის დადგენის საჭიროება, დანაშაულის სწრაფი და ეფექტური გამოძიება, პირის მიმალვით სისხლისსამართლებრივი დევნის ხელშეშლის თავიდან აცილება და სხვ. შესაბამისად მოწმის გამოცხადება პოლიციის განყოფილებაში და ჩვენების მიცემა პოლიციისთვის მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი აქტი შეიძლება იყოს. ჩვეულებრივ, იგივე წესი მოქმედებს სასამართლოში საქმის განხილვისას. თუმცა, მოწმე შეიძლება ვალდებული იყოს გამოცხადდეს სასამართლოში პროცესზე დასასწრებად, თუ მას ჩაბარდა დაბარების უწყება. მხარეთა შუამდგომლობით, მაგისტრატთა სასამართლოს უფლება აქვს, მოითხოვოს მოწმის გამოცხადება ჩვენების მისაცემად ან მტკიცებულების სახით ნივთის, ან დოკუმენტის წარმოდგენა. ამ წესის თანახმად, მხარემ, რომელსაც სურს, რომ სასამართლომ გამოსცეს მოწმის დაბარების უწყება, უნდა დააყენოს შესაბამისი შუამდგომლობა, რაც შეიძლება სწრაფად მას შემდეგ, რაც შეიტყობს საამისო საფუძვლების არსებობას. შუამდგომლობის ავტორი მიუთითებს მოწმის ვინაობას და განმარტავს თუ რა ჩვენების მიცემა შეუძლია მას, რატომ შეიძლება ეს ჩვენება იყოს არსებითი მნიშვნელობის და რატომ არის მართლმსაჯულების ინტერესში ამ უწყების

გამოცემა. თუ ამგვარად დაბარებული მოწმე არ გამოცხადდება, იგი შეიძლება დააკავონ და მიიყვანონ სასამართლოში.[27]

შესაბამისად მოწმეთა პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა ინგლისსა და უელსში ტარდება საჯაროდ, ღია სასამართლო სხდომაზე, დასაშვებია, მოწმის იძულება მისი მხოლოდ სასამართლო პროცესზე და არა სხვა ადგილას გამოცხადების მიზნით. სამეფო პროკურატურას და პოლიციას არ აქვთ უფლება, სისხლის სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე, დაკითხონ მოწმეები სასამართოს გარეთ. მათ შეუძლიათ მხოლოდ მოწმეთა გამოკითხვა მათივე თანხმობით. სამართალდამცავ ორგანოებს არ აქვთ არანაირი უფლება და საკანონმდებლო ბერკეტი, აიძულონ მოწმე ითანამშრომლოს გამოძიებასთან.[28]

3.3. მოწმეთა სამართლებრივი მდგომარეობა ჰოლანდიაში

ჰოლანდიის სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი გახლავთ ის, რომ გამოძიების ეტაპზე მიღებული მოწმის ჩვენება შეიძლება გამოყენებული იქნას მტკიცებულების სახით ბრალდების დასამტკიცებლად, რაიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვების გარეშე. ამჟამინდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლიდან მოკლე ხანში, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა ირიბი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა. წინასასამართლო ჩვენების გამოყენება არათუ დასაშვებია, არამედ ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენს. წინასასამართლო ჩვენება მტკიცებულების სახით გამოიყენება ძირითადად მაშინ, როდესაც მოწმე არ ცხადდება სასამართლო პროცესზე. მოწმეთა წინასასამართლო ჩვენებები გამოიყენება მტკიცებულების სახით ისე, რომ მოწმე არ აძლევს ჩვენებას სასამართლოში, რაც პრობლემურად არ მიიჩნევა. გამომძიებელი, როგორც წესი, პოლიციის თანამშრომელია. გამომძიებლის მიერ წინასასამართლო

---

27 სისხლის სამართლის საპროცესო წესები. 2014 Restatment.პუნქტი 28(3)

28 მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში., რ ვოლგერი, 2015, გვ 6-9

დაკითხვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ნაკლებად არეგულირებს. ერთადერთი ნორმა პოლიციის მიერ დაკითხვის წარმოებასთან დაკავშირებით ეხება იმას, რომ მოწმეს შეუძლია სისხლის სამართლის დანაშაული შეატყობინოს პოლიციას. ვინაიდან ასეთი შეტყობინება ხშირად სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების თავდაპირველი მიზეზია, დაცვის მხარე, როგორც წესი, არ მონაწილეობს პოლიციის მიერ პირის პირველად დაკითხვაში. თუ მოწმე იკითხება მოგვიანებით პოლიციის მიერ წარმოებული გამოძიების ეტაპზე, არც ვალდებულება და არც პრაქტიკა არსებობს იმისა, რომ დაცვის მხარე მოიწვიონ დაკითხვაში მონაწილეობის მისაღებად. დაკითხვას არც პროკურორი ესწრება. თუ მოწმე პოლიციის მიერაა გამოძახებული დასაკითხად, იგი არ არის ვალდებული გამოცხადდეს დაკითხვაზე. მოწმე არ დებს ფიცს და აქედან გამომდინარეარც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება ცრუ ჩვენების მიცემისთვის. მოწმის მიერ გაკეთებული განცხადებები ფიქსირდება ოფიციალურად პოლიციის ოქმში. თუ მოწმეს იძახებენ დასაკითხად გამომძიებელთან, მოწმე არ არის ვალდებული გამოცხადდეს ან მისცეს ჩვენება. შესაბამისად, პირის მიერ ჩვენების მიცემა პოლიციისთვის ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს. თანხმობის შემთხვევაში, პოლი-ციელი არ აფრთხილებს ცრუ ჩვენების მიცემისთვის პირს პასუხისმგებლობის თაობაზე. ეს კი იმით არის განპირობებული, რომ პოლიციელთან ჩვენების მიცემისას მოწმე არ დებს ფიცს. მოწმის შემდგომ დაკითხვას აწარმოებს გამომძიებელი მოსამართლე. დაკითხვის ამ ეტაპზე გამოცხადება სავალდებულოა. აგრეთვე მოწმე დებს ფიცს, როდესაც გამომძიებელი მოსამართლის წინაშე აძლევს ჩვენებას. ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენების შემთხვევაში, ცრუ ინფორმაციის მიცემაზე პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. გამომძიებელი მოსამართლე ნეიტრალური ფიგურაა. პროცესის ორივე მხარეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა სამართალწარმოების ამ ეტაპზე გამომძიებელი მოსამართლის წინაშე დაკითხოს პირი მოწმედ. მოწმეთა დაკითხვის მესამე ეტაპი მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, სადაც გამოცხადება, კითხვებზე პასუხი, ფიცის დადება სავალდებულოა და ნებისმიერ შემთხვევაში მათგან თავის არიდება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[29]

---

[29] https://www.osgf.ge/files/2015/2015/Human%20Rights%20Program/Reports_GEO-web.pdf .,ბას დე

3.4. მოწმეთა სამართლებრივი მდგომარეობა კანადაში

საერთო სამართლიდან გამომდინარე, კანადის პოლიციას უფლება აქვს, გამოძიების მიზნებისთვის დააკავოს პირი მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მიერ წარმოებული გამოძიება ეფუძვნება ,,გონივრულ ეჭვს, რომ კონკრეტული პირი მონაწილეობდა დანაშაულებრივ ქმედებაში, რომელიც იმყოფება გამოძიების ქვეშ" გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 495-ე მუხლი იძლევა პირის დაკავების უფლებას თუ მან ჩაიდინა მძიმე დანაშაული ან თუ გონივრულ საფუძველზე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი თვლის, რომ მან ჩაიდინა ან აპირებს რომ ჩაიდინოს მძიმე დანაშაული". გარდა ამისა დაკავება უნდა იყოს აუცილებელი, ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა პირის ვინაობის დადგენა, მტკიცებულების უზრუნველყოფა ან დაცვა, დანაშაულის გაგრძელების ან განმეორების თავიდან აცილება ან სხვა დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება.

მოწმე შეიძლება აიძულონ, გამოცხადდეს წინასწარი დაკითხვის სხდომაზე მოსამართლის წინაშე, პროვინციულ სასამართლოში. ეს მოხდება სამეფო პროკურორის ან დამცველის შუამდგომლობით, იმ შემთხვევაში, თუ პირი ბრალდებულია მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის. წინასწარი შემოწმება ასრულებს ,,ფილტრის" როლს, რომ არასაკმარისი დასაბუთების საქმეები არ მოხვდეს სასამართლო განხილვაში. ასევე, მისი მიზანია ,,ბრალდებულის დაცვა არასაჭირო და სრულიად არასათანადო საჯარო გასამართლებისგან, როდესაც სამართალდამცავ ორგანოს არ აქვს საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ პროცესი გაგრძელდეს". ვიდრე მოწმეს მოუსმენენ, სამეფო პროკურორს ან დამცველს შეუძლიათ იშუამდგომლონ, რომ წინასწარი დაკითხვის დროს მიღებული ჩვენება არ გამოქვეყნდეს არც ერთ დოკუმენტში, არ გადაიცეს ტექნიკური საშუალებებით ან სხვაგვარად, ვიდრე ბრალდებული არ გათავისუფლდება ან სასამართლო განხილვა არ დასრულდება. წინასწარი დაკითხვის სხდომის მოსამართლეს ფართო უფლებამოსილება აქვს, აიძულოს მოწმე,

---

ვილ- დე., თბილისი, 2015. გვ 51-62.

ითანამშრომლოს. მაგალითად, თუ მოწმე გონივრული მიზეზის გარეშე ამბობს ფიცის დადებაზე, კითხვებზე პასუხის გაცემაზე, მოთხოვნილი დოკუმენტის წარდგენაზე ან დეპონირებული ჩვენების ხელმოწერაზე, სხდომა შეიძლება გადაიდოს და შესაბამისი პირი დააპატიმრონ რვა დღემდე ვადით.

მოწმე, რომელსაც დიდი ალბათობით შეუძლია ,,მნიშვნელოვანი ჩვენების მიცემა" სასამართლოს სხდომაზე, რომელიც სავარაუდოდ ნებაყოფლობით არ გამოცხადდება ან თავს აარიდებს უწყების მიღებას, შეიძლება დაბარების წესით აიძულონ გამოცხადება. თუ მოწმე არ დაემორჩილება მოსამართლის ბრძანებას, იგი შეიძლება დააპატიმრონ.[30]

თავი IV. მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის სამართლებრივი ხარვეზები და რეკომენდაციები

ყოველი სახლმწიფო, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ იყოს დემოკრატიული და სამართლებრივი, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებას. ვინაიდან სისხლის სამართლის მართებული პოლიტიკა არის გასაღები დამნაშავეობის შემცირების და გარანტი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების. თუ ხელისუფლება, ისევე როგორც სამოქალაქო

[30] https://www.osgf.ge/files/2015/2015/Human%20Rights%20Program/Reports_GEO-web.pdf .,ბას დე ვილ- დე., თბილისი, 2015. გვ 51-62.

საზოგადოება, შესაძლებლობათა მაქსიმუმს არ განახორციელებს სისხლის სამართლის მართებული პოლიტიკის გატარებისთვის, მაშინ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის, დამნაშავეობის ზრდის და საზოგადოებაში სამართლებრივი კულტურის დაცემის ალბათობა იქნება ძალიან მაღალი. სისხლის სამართლის მართებული პოლიტიკის დონეზე უნდა ჩამოყალიბდეს მაღალი კულტურა, რომ ყოველი ცვლილება სანამ უშუალოდ სისხლის სამართლის მატერიალურ ან საპროცესო კოდექსში აისახება, განხილულ იქნეს სამეცნიერო და დიპლომატიურ საზოგადოებებში. აღნიშნული კულტურა უნდა ჩამოყალიბდეს, რათა დემოკრატიულობის, მეცნიერულობის და ქმედითობის მაღალ დონეზე იქნეს შესწავლილი შესაძლო ნოვაციები, მაქსიმალურად იქნეს გამორიცხული შესაძლო ხარვეზები და ობიექტურად გაითვალოს ამა თუ იმ ცვლილებათა პრაქტიკაში განხორციელების შესაძლო დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 18 დეკემბერს მიიღო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც გამოძიების სტადიაზე მოწმის გამოკითხვისა და დაკითხვის ახალ წესს ეხებოდა. კოალიციის შეფასებით, მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის უფლებამოსილების მხოლოდ ბრალდების მხარისთვის მინიჭებით მნიშვნელოვნად ილახება მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპი, რადგან ახალი რეგულაციით, დაცვის მხარე არ ესწრება მოწმის მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვას, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარე ვერ ამოწმებს მოწმის სანდოობას. მართალია, საქმის არსებით განხილვაზე დაცვის მხარეს შეუძლია ჯვარედინი წესით დაკითხოს მოწმე და ამგვარად მოახდინოს ამ ზარალის კომპენსირება, რაც მოწმის გამოძიების ეტაპზე დაკითხვაში მონაწილეობის მიუღებლობით მიადგა, მაგრამ დაცვის მხარის აღნიშნული უფლება ატარებს ილოზორულ და ფორმალურ ხასიათს. ის რეალურად ვერ უზრუნველყოფს მოწმის სანდოობის შემოწმებას, რაც აზარალებს მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას. მოწმის დაკითხვის ახალი წესი არსებითად უგულვებელყოფს მოწმეებთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობის და მათი დათანხმების აუცილებლობას. ამ პირობებში, გამოკითხვის ნებაყოფლობითი პროცედურა არაეფექტური და ნომინალური ხდება, რაც მთლიანად ამ ტიპის საგამოძიებო მოქმედების საჭიროებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ამასთანავე,

დაკითხვის სავალდებულო ბუნების შენარჩუნება ხელს უშლის მოქალაქეებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობაზე და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რადგან მოწმის ნებაყოფლობით გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, მათ მარტივი წესით შეუძლიათ იძულებითი მექანიზმის გამოყენება. ამდენად, საგამოძიებო ორგანოებს არ ექნებათ პროფესიული ინტერესი იმუშაონ საკუთარი პროფესიული უნარების, საზოგადოებასთან კომუნიკაციის და ნდობის მოპოვების ხარისხის ამაღლებაზე.[31]

მოწმის დაკითხვის ახალი წესი შეუთავსებელია უშუალობის პრინციპთან, რაც გულისხმობს ყველა მტკიცებულების არსებით გამოკვლევას, მათი სანდოობის შემოწმებას საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის წინაშე. მოწმის დაკითხვის წესის ანალიზისას, მნიშვნელოვანია ხაზგასმა იმ პრობლემაზე, რომელიც დაკავშირებულია არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან. მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხული მოწმე შეზღუდული იქნება მიცემული ჩვენებით, რომლის შეცვლაც მთავარ სხდომაზე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს. ამასთან, მაშინ როცა საქართველოს კანონმდებლობით სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ცრუ ჩვენებისთვის და ცრუ დასმენისთვის.
აღსანიშნავია, რომ მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება და სასამართლოში წარდგენა, მნიშვნელოვანი საშუალებაა საკუთარი უფლებების დასაცავად. სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვან მტკიცებულებას მოწმის ჩვენება წარმოადგენს. სასამართლო გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი სწორედ მოწმის ჩვენებებს ეფუძნება. მოწმეთა ჩვენების მნიშვნელობას აღნიშნავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც, რომლის თანახმადაც „ის [მოწმის ჩვენება] შეიძლება იყოს ინფორმაციის ერთ-ერთი, ზოგჯერ კი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო.[32]

კანონპროექტის განმარტებით ბარათში კანონმდებელმა აღნიშნული წესის გადავადების მიზეზად დაასახელა, რომ: „ამ შემთხვევებში აუცილებელია, გამოძიების

---

31 მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, „თბილისი 2017“, გვ. 11

32 მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, „თბილისი 2017“, გვ. 11

სტადიაზე შესაბამისი ორგანოები არ იყვნენ შეზღუდული მოწმის მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვის შესაძლებლობით (ისიც, კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობსას და შესაბამისი შეზღუდვების გათვალისწინებით), ვინაიდან მათი ჩადენისთანავე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დანაშაულზე იმწუთიერი რეაგირებისა და მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, მოწმის დაკითხვის, მყისიერად განუხორციელებლობამ, შესაძლოა, შექმნას მტკიცებულებათა განადგურების, შემთხვევის ადგილის დაზიანებისა და მოწმეთა მიმალვის საფრთხე, შესაბამისად, რისკის ქვეშ დააყენოს ამ დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და შეასუსტოს ქვეყანაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბერკეტები.[33]

მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის სამართლებრივი ხარვეზი არის ის, რომ კანონმდებელმა ვერ ან არ გაითვალისწინა მთელი რიგი გარემოებები, კერძოდ, იმ დანაშაულებზე, რომლებზეც მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი უნდა ამოქმედდეს გადავადების მიზეზი გახდა ის, რომ გამოძიების სტადიაზე შესაბამისი ორგანოები არ ყოფილიყვნენ შეზღუდული მოწმის მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვის შესაძლებლობით, რადგანაც მათი ჩადენისთანავე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დანაშაულზე იმწუთიერი რეაგირებისა და მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, მოწმის დაკითხვის, მყისიერად განუხორციელებლობამ, შესაძლოა შექმნას მტკიცებულებათა განადგურების, შემთხვევის ადგილის დაზიანებისა და მოწმეთა მიმალვის საფრთხე. შესაბამისად, რისკის ქვეშ დააყენოს ამ დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და შეასუსტოს ქვეყანაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბერკეტები. სამწუხაროდ, ხდება ისეც, რომ მოწმეს უწევს საქმესთან დაკავშირებული ფაქტის ან ინფორმაციის ნაწილის დამალვა და ეს გამოწვეულია არა აღნიშნული პირის კეთილი ნების საფუძველზე, არამედ, მთელი რიგი ფაქტორების გამო, რასაც შეუძლია გამოსაძიებელი საქმის მსვლელობა საპირისპირო მიმართულებით წარმართოს. ისეთი შემთხვევის დროს, როდესაც გამოსაკითხი პირი გამომძიებელს არ მისცემს ინფორმაციას დანაშაულის ფაქტებთან დაკავშირებით,

[33] განმარტებითი ბარათი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ., თბილისი, 2015, გვ. 2.

რომელსაც ფლობს, გამომძიებელი, პროკურორი იძულებულნი არიან სასამართლოს წინაშე ასაბუთონ, რომ პირმა დანაშაულის შესახებ იცის გამოძიებისათვის საჭირო ინფორმაცია, ამის პარარელურად კი სანამ საგამოძიებო ორგანოებს ამის მტკიცება უხდებათ სასამართლოს წინაშე, შესაძლებელია მოწმეზე ზეგავლენა მოახდინოს დამნაშავემ მისი დაშინებით, მუქარით და ა.შ. რის შედეგადაც არის საშიშროება იმისა, რომ მოწმეს გაუჩნდეს შიში და დამალოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაწილი ან საერთოდაც შეცვალოს იგი და საქმის მსვლელობა საპირისპირო მიმართულებით წარმართოს. მაშინ როცა ძველი წესით საგამოიებო ორგანოებს ეძლეოდათ შესაძლებლობა მოწმე იძულების წესითაც მიეყვანათ საგამოძიებო ორგანოში ჩვენების მისაცემად და არ დაეკარგათ ზედმეტი დრო და რესურსები. საგამოძიებო ორგანოები მოწოდებულნი და მოტივირებულნი არიან იმისკენ, რომ დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩეს და არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ როდესაც გამომძიებელს აქვს შესაძლებლობა დაკითხოს მოწმე დანაშაულის ფაქტთად დაკავშირებით, არსებობს თუნდაც იმის მცირედი შანსი რომ სამართალდამცველმა მოწმის უფლებები შელახოს განსხვავებით დამნაშავისაგან, რომელიც ანტისაზოგადოებრივი პიროვნებაა და რომელიც მოწმეს აღიქვამს მისთვის საფრთხის შემქმნელად. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როდესაც გამომძიებელს აქვს შესაძლებლობა მოწმე უშუალოდ დანაშაულის შემთხვევის მოსაზღვრე მომენტში, უმალვე დაკითხოს მოწმე მომხდარი ფაქტიდან გამოწვეული ემოციების ქვეშ არის მოქცეული, აღელვებულ მოწმეს კი ფსიქოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე ნაკლებად შეუძლია რაიმეს გამოგონება და შეთხზვა, შესაბამისად მისი ჩვენების შედეგად გამოძიებისთვის არასწორი მიმართულებით წაყვანა ნაკლებად სავარაუდოა, განხსვავებით იმისგან როცა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხდება შესაძლებელი დაიკითხოს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. დაკითხვა ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა. გამოძიებისათვის დაკითხვის პროცესის წარმართვა ძალზედ მნიშვნელოვანია. ამ ეტაპზე გამომძიებელი ცდილობს არა მარტო ინფორმაციის შეგროვებას, არამედ უკვე არსებულის შეფასებას და გადამოწმებას. მოწმის დაკითხვის საგანს წარმოადგენს მომხდარ საქმესთან დაკავშირებული სანდო ფაქტების გამოვლენა. მოწმის დაკითხვა საჭიროა მაშინ, როდესაც გვსურს მივიღოთ

ახალი ინფორმაცია, გადავამოწმოთ არსებული დეტალები ან შევაფასოთ მტკიცებულებები.[34] ასევე ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ადამიანს არ შესწევს უნარი მომხდარი ფაქტი ზედმიწევნით გაიხსენოს და ხშირ შემთხვევაში ინფორმაციას სახეს უცვლის. დამახსოვრების პროცესი გარკვეულწილად გადაწყვეტილების მიღების პროცესს ჰგავს. ამ ეტაპზე ადამიანი მიღებულ ინფორმაციას აანალიზებს და მისთვის სასურველს ან საინტერესოს იმახსოვრებს, დანარჩენი კი დავიწყებას მიეცემა, რაზეც გავლენას ახდენს ადამიანის მოტივები, ინტერესები და მოთხოვნილებები. მოწმის ან თვითმხილველის მიერ ჩვენების მოცემის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის ფაქტორს. აქ მნიშვნელოვანი ასპექტია, თუ როდის არის სასურველი დაკითხვა უშუალოდ ფაქტის მოხდენის შემდგომ, თუ რამოდენიმე დღის შემდეგ. მეხსიერების მუშაობის კანონზომიე- რებებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია, რომ პიროვნების დაკითხვა მოხდეს ფაქტის მოხდენიდან, რაც შეიძლება მალე, ვინაიდან დროის გასვლის შემდეგ, შესაძლებელია, ადამიანს დაავიწყდეს მნიშვნელოვანი ასპექტები და ის საკუთარი ფანტაზიით შეცვალოს. ამ დროს კი ინფორმაციის სიზუსტის ხარისხი მცირდება, მოწმის შემთხვევაში მოვლენათა აღდგენა უარესდება დროის გასვლასთან ერთად, ასევე, მნიშვნელოვანია, დაიკითხოს პირი მანამ, სანამ ეს პიროვნება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ვინმესთან ისაუბრებს, რადგან კითხვების ტიპი და მათი დასმის სიხშირე დიდ გავლენას ახდენს შემდეგში ჩვენების ფორმულირებაზე. მაგალითად, გარეშე პირი, რომელიც ესაუბრება თვითმხილველს, შესაძლებელია, ყურადღება გაამახვილოს ისეთ ასპექტებზე, რაც გამოძიებაში მეორეხარისხოვანია. ამან კი, შესაძლოა, დაამახინჯოს მოწმის, თუ თვითმხილველის ფაქტის დამახსოვრების პროცესი. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ თვითმხილველები, რომლებიც ფაქტის მოხდენის დღეს დაიკითხნენ, შეძლეს ჩვენების 90%- ით ზუსტად მიცემა, იმათგან განსხვავებით, ვინც მეორე ან მესამე დღეს დაიკითხნენ,[35] აღნიშნულიდან გამომდინარე მოწმის დაკითხვამ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე და დროის ფაქტორმა შეიძლება

---

34 საგამოძიებო საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2015, გვ. 99.

35 საგამოძიებო საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2015, გვ. 107-108

უარყოფითი გავლენა მოახდინოს მოწმის მიერ მოყოლილი ფაქტების სიზუსტეზე, რაც ნეგატიურად აისახება გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეზე.

1. დანაშაულებზე, რომლებიც მიმართულია, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, აგრეთვე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, ტერორიზმი, ცალკეული დანაშაულები, რომლებიც ძალადობრივი გზით არის ჩადენილი და ქმნის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ან სახელმწიფოს ინტერესებისათვის ზიანის მიყენების საფრთხეს (განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ძარცვა, ყაჩაღობა, შეთქმულება ან ამბოხება კონსტიტუციური წყობის ძალადობით შესაცვლელად, ტერორიზმი და სხვ.) არ უნდა ამოქმედდეს მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი, რომელიც გამოძიების ორგანოებს ართმევს შესაძლებლობას მოწმე დაკითხოს საგამოძიებო ორგანოებში, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს რომ ამ ცვლილებით პოლიციას გაუჭირდება დამნაშავეს დაუმტკიცოს მის მიერ ჩადენილი ქმედება, ვინაიდან ორი წელი არც ისე დიდი დროა საზოგადოებას აუმაღლდეს ცნობიერება და უფრო კეთილგანწყობილნი გახდნენ სამართალდამცავი პირების მიმართ და უპრობლემოდ ითანამშრომლონ გამოძიებასთან. მკვლელობების, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, როდესაც თითოეულ დეტალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოძიების სწორად წარმართვისათვის და სახეზე გვყავს თვითმხილველი პირები, ფაქტების დადასტურებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გამოსაკითხი პირის მიერ გაცემული ინფორმაცია მნიშვნელოვანია წარმატებული გამოძიებისთვის და დანაშაულის გახსნისთვის. თუ პირი დუმს და არაფერს ამბობს, რა თქმა უნდა, ვითარება გამოძიების კუთხით უფრო რთულდება.

2. უშუალობის პრინციპიდან გამომდინარე, პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირმა უშუალოდ უნდა აღიქვას ყველა მტკიცებულება და შეაფასოს ისინი. გამომძიებელს, პროკურორს უნდა შეეძლოთ მოწმის უშუალოდ დაკითხვა საგამოძიებო ორგანოებში, მაგისტრატი მოსამართლის გარეშე, რათა პირადად გა-მოიკვლიონ მოწმის ჩვენება, მისი სანდოობა და საქმესთან შემხებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება სასამართლოში, საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად გამოდგება თუ არა მისი ჩვენება, როგორც მტკიცებულება. მოწმის მიერ

საგამოძიებო ოგანოებისთვის ჩვენების მიცემა უნდა იყოს მისი პირდაპირი ვალდებულება და არა მისი უფლება, მოწმისთვის იმ უფლების მინიჭება რასაც ითვალისწინებს მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი არ უნდა მოხდეს მანამ სანამ, საზოგადოებაში არ ამაღლდება სამართლებრივი მართლშეგნება უფრო მეტად ვიდრე ეს დღეის მდგომარეობით არის და უახლოეს წლებშია მოსალოდნელი, ვინაიდან პიროვნების ფუნდამენტალური უფლებების და თავისუფლების დაცვა თანხვედრაში უნდა იყოს დანაშაულის გახსნის საჯარო ინტერესთან, შესაბამისად უკეთ უნდა დაიხვეწოს აღნიშნული წესი და შემდგომ მოხდეს მისი ამოქმედება, რათა სამართალწარმოება და დანაშაულზე რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდებოდეს ეფექტურად და სრულყოფილად.

4.1. მოწმის დაკითხვის ახალი წესის კანონმდებლობის ანალიზი და მისი შეფასება

არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგადი წესის თანახმად, მოწმის დაკითხვა ხდება სასამართლოში. ხოლო, გამოძიების დროს, პირის მოწმედ დაკითხვის წესს აწესრიგებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლი. სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილით გაწერილია ამომწურავი საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც გამოძიების ეტაპზე მოწმე შეიძლება მაგისტრატ მოსამართლესთან დაიკითხოს ბრალდების ან დაცვის მხარის შუამდგომლობით. ეს შემთხვევებია:

- არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს;
- იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს, არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს;

- ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

თუ მოწმე დაავადებულია ისეთი დაავადებით, რომ არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე, რის გამოც შეიძლება მას ხელი შეეშალოს, არსებითი განხილვის დროს გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს ჩვენება, ამ დროს, მხარემ უნდა მიმართოს სასამართლოს ამ პირის მოწმის სახით დაკითხვის მოთხოვნით. შუამდგომლობას უნდა დაერთოს ის დოკუმენტები, რაც დაადასტურებს, რომ მოწმის სახით დასაკითხი პირი ფლობს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ასევე, დოკუმენტი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტი იძლევა შესაძლებლობას, ბრალდების მხარემ დაკითხოს მოწმე მაგისტრატ მოსამართლესთან, თუკი ,,არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს". ბრალდების მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ სხვაგვარად შეუძლებელია გამოძიებისთვის შემდგომი მსვლელობის მიცემა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დაკითხვას დაცვისა და ბრალდების მხარეები ესწრებიან.

გამოძიების ეტაპზე, მოწმის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვას ასევე, ითვალისწინებს სსსკ-ის 114-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს.

პირის გამოკითხვას ითვალისწინებს სსსკ-ის 113-ე მუხლი. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მანძილზე მხარეებს აქვთ უფლება, ნებაყოფლობით გამოკითხონ ნებისმიერი პირი, ვინც შეიძლება ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მეორე ნაწილი მოწმის მიერ

ნებაყოფლობით გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში, მისი იძულების წესით მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის შესაძლებლობას უშვებს. სსსკ-ის 114-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული კომპეტენცია მხოლოდ ბრალდების მხარეს ენიჭება, რომელმაც მაგისტრატ მოსამართლესთან უნდა დაასაბუთოს, რომ დასაკითხი პირი ფლობს საქმის გარემოებებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.[36]

4.2. დანაშაულები, რომელზეც შენარჩუნებულია 1998 წლის მოწმის დაკითხვის წესი

სსსკ-ის 332-ე მუხლის თანახმად, მოწმის დაკითხვის 1998 წლის წესი შენარჩუნებულია გარკვეული კატეგორიის დანაშაულების გამოძიებისას. ამ დანაშაულებს მიეკუთვნება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, აგრეთვე, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულები, ასევე, დანაშაულები, რომლებიც ძალადობრივი გზით არის ჩადენილი და ქმნის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ან სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენების საფრთხეს (განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ძარცვა, ყაჩაღობა, შეთქმულება ან ამბოხება კონსტიტუციური წყობის ძალადობით შესაცვლელად, ტერორიზმი და სხვა).

დაკითხვის ძველი წესის მოქმედების ვადა დანაშაულების კატეგორიების მიხედვით, ორ სახედ იყოფა:

- 2017 წლის 1 იანვრამდე დაკითხვის ძველი წესი მოქმედებდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ და ტერორიზმის თავით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.

---

36 http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/reserch-geo%20(1).pdf გვ. 9-10

- 2018 წლის 1 იანვრამდე დაკითხვის ძველი წესი მოქმედებს ძირითადად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობრივი ხასიათის დანაშაულებზე.
- 2017 წლის 1 იანვრამდე გამოყოფილი ვადა დანაშაულის ერთ კატეგორიასთან დაკავშირებით უკვე გავიდა და მისი მოქმედების გადავადება არ მომხდარა, ხოლო დანაშაულთა ნაწილზე ჯერ კიდევ ძველი წესი ვრცელდება.

საგამონაკლისო წესის დამდგენი კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებული იყო, რომ აღნიშნულ შემთხვევებში, აუცილებელია, რომ გამოძიების სტადიაზე შესაბამისი ორგანოები არ იყვნენ შეზღუდულნი მოწმის მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვის შესაძლებლობით, ვინაიდან მათი ჩადენისთანავე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დანაშაულზე იმწუთიერი რეაგირებისა და მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, მოწმის დაკითხვის მყისიერად განუხორციელებლობამ შესაძლოა შექმნას მტკიცებულებათა განადგურების, შემთხვევის ადგილის დაზიანების და მოწმეთა მიმალვის საფრთხე, რისკის ქვეშ დააყენოს ამ დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და შეასუსტოს ქვეყანაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბერკეტები. მოწმეთა დაკითხვის აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევებში, დაკითხვის ძველი წესი მოქმედებს.

საჯარო ინფორმაციის ანალიზიდან ვლინდება, რომ რეალურად სსსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული გარდამავალი დებულება მოწმის ძველი წესით დაკითხვასთან დაკავშირებით არის ძირითადი წესი, ხოლო მოწმის დაკითხვის ახალი წესი (ძირითადი წესი) გამონაკლისი. მოწმეები 99.95% შემთხვევაში კვლავ ძველი წესით იკითხებიან. სტატისტიკის ანალიზიდან იკვეთება, რომ მოწმის დაკითხვის ახალი წესი პრაქტიკაში ძალიან იშვიათად გამოიყენება და საგამონაკლისო ხასიათი გააჩნია. მოწმეთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ საგამოძიებო ორგანოში იკითხება, სადაც მაღალია მოწმეზე არასათანადო მოპყრობის და ზეწოლის რისკი. არადა, მოწმის დაკითხვის ახალი წესის შემოღების მიზნად, სახელმწიფო მოწმეთა ზეწოლისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვას მიიჩნევდა. ეწოლისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვას მიიჩნევდა. 2009 წელს მიღებულმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა პრიორიტეტად აღიარა კონსტიტუციით

გარანტირებული მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი და 1998 წლის საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ნაცვლად ინკვიზიციური მოდელისა, შეჯიბრებით მოდელს დააფუძნა.

როგორც წესი, მოწმეთა დაკითხვა დღემდე 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ინკვიზიციური პრინციპის გამოყენებით ხორციელდება. მოწმეთა დაკითხვა მიმდინარეობს საგამოძიებო ორგანოში, სავალდებულო წესით სადაც მაღალია მოწმეზე ზემოქმედების, ზეწოლისა და იძულების რისკი.

მოწმეთა დაკითხვის ძალადობრივ პრაქტიკაზე საუბრობს ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების და ადამიანის უფლებების საკითხებში- ტომას ჰამერბერგი საქართველოს შესახებ 2014 წლის დასკვნაში აღნიშნავდა, რომ საქართველოში არსებობს კრიტიკა არათანასწორ შესაძლებლობებზე ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის. იგი მათ შორის საუბრობდა „გამოძიების საეჭვო მეთოდებზე“ და „დაკავებული პირების იძულებაზე აღიაროს დანაშაული ან ამხილოს სხვები.“ მოწმეთა დაკითხვის ძველი წესის პრობლემურობაზე ყურადღებას ამახვილებდა ასევე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ნილს მუჟნიეკსი.[37]

დასკვნა

[37] http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/reserch-geo%20(1).pdf gv 14.15.16

მოწმის დაკითხვის მიზანს წარმოადგენს მომხდარ საქმესთან დაკავშირებული სანდო ფაქტების გამოვლენა. მოწმის დაკითხვა საჭიროა მაშინ, როდესაც გვსურს მივიღოთ ახალი ინფორმაცია, გადავამოწმოთ არსებული დეტალები, ან შევაფასოთ მტკიცებულებები. საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას მოწმის დაკითხვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მისი ინფორმაცია შესაძლოა განსხვავდებოდეს იმ მტკიცებულებისაგან, რაც პოლიციას აქვს მოპოვებული და აღნიშნულმა ფაქტმა შესაძლოა გამოძიება სწორ გზაზე დააყენოს. მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთი სახის მოპოვების მიზანი არის, ამა თუ იმ ფაქტის გადამოწმების და დამტკიცების სურვილი. სისხლის სამართლის პოლიტიკა მცირე პერიოდში ვერ განხორციელდება, სხვა ბევრ ქვეყნებთან შედარებით, სადაც მოქმედებს მოწმის გამოკითხვა/დაკითხვისადმი ლიბერალური მიდგომები და რომელზეც საუბარია ნაშრომში, საქართველოს საზოგადოების უმრავლესობის სამა- რთლებრივი კულტურის დონე და სამართლებრივი მართლშეგნება არც თუ ისე მაღალია. ასევე უნდა გავითვალისწინოთ მოწმის ჩვენების შეფასებისას არსებითად მნიშვნელოვანი სამი ძირითადი ფაქტორი: აღქმა, დამახსოვრება და გადმოცემა. თუ გავითვალისწინებთ პიროვნების ფსიქოლოგიურ ასპექტებს, დამახსოვრება-გადმოცემის ფაქტორზე შესაძლებელია სავალალო შედეგი გამოიწვიოს დროის ფაქტორმა, რომელზეც უფრო დაწვრილებით ნაშრომში უკვე იყო საუბარი. მოწმის დაკითხვის ახალი წესი ართმევს საგამოძიებო ორგანოებს შესაძლებლობას დაკითხოს მოწმე მაგისტრატი მოსამართლის გარეშე, საგამოძიებო ორგანოებში, ხოლო 2017 წლისათვის აღნიშნული წესი ყველა სახის დანაშაულთან მიმართებით ამოქმედდა, რამაც უფრო მეტად გაართულა ეფექტური გამოძიების ჩატარების შესაძლებლობას. გართულდა პროკურორის მიერ თავისი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის, სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის განხორციელება და გაიზრდა გაუხსნელი დანაშაულების მაჩვენებელი, ვინაიდან გამოძიებას ხელიდან ეცლებოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი, გამოძიების ეტაპზე ,,ცხელ კვალზე'' გახსნას დანაშაული, რადგანაც პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც მოწმეთა დაკითხვის და მათი ჩვენების საფუძველზე ხდება დამნაშავის ,,ცხელ კვალზე'' დადგომა და მისი დაკავება. გამოკითხვის ნებაყოფლობითობა და მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა მხოლოდ

მაგისტრატ მოსამართლესთან გაართულებდა საქმის გამოძიებას, რადგან მოწმეთა უმეტესობა ,,კეთილი ნების'' საფუძლზე არ ითანამშრომლებენ გამოძიებასთან და არ მისცემენ ჩვენებას, როცა გაიგებენ რომ მათ ამის უფლებას კანონი ანიჭებს. მოწმის დაკითხვის მყისიერად განუხორციელებლობამ და დროში გაწელვამ, თუნდაც ეს იყოს რამდენიმე საათი, როდესაც საქმის გამოძიებისთვის და გახსნისთვის ერთი წუთიც კი მნიშვნელოვანია, გაზრდის საფრთხეს მტკიცებულებების განადგურების, დამნაშავის მიმალვის, ასევე მოწმეთა მიმალვის, როდესაც გაიგებენ, რომ მათი პიროვნებით გამოძიება დაინტერესდა და შესაძლოა გამოიძახონ სასამართლოში ჩვენების მიცემისთვის, მათ კი ამის სურვილი არ აქვთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოწმის ჩვენებას საგამოძიებო ორგანოებთან, უნდა ქონდეს სავალდებულო ხასიათი, რათა არ გართულდეს სისხ-ლისსამართალ წარმოება და ამით არ შეილახოს დანაშაულის გახსნის საჯარო ინ-ტერესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

საკანონმდებლო ნორმატიული მასალა

1. განმარტებითი ბარათი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, თბილისი, 2015.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, თბილისი, 2015.
3. საგამოძიებო საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტები, 2015, გვ 107.
4. დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა, 2014, გვ21.
5. იუსტიციის სამინისტროს განცხადება,თბილისი, 2015.19.11.
6. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ერთობლივი სხდომა, მე-17 სხდომის ოქმი, თბილისი.
7. მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში.,თბილისი.,2015.
8. სისხლის სამართლის საპროცესო წესები. 2014 Restatment.პუნქტი 28(3)

ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო მასალა

1. გოგნიაშვილი 2008 - გოგნიაშვილი ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბილისი, 2008.
2. დეკანოზიშვილი, 2014 - დეკანოზიშვილი გ., დაკითხვის თანამდეროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში, თბილისი, 2014.
3. ვოლგერი, 2015 - ვოლგერი რ., მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, 2015.
4. ლალიაშვილი, 2015 - ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელო, 2015.
5. ლომსაძე, 2015- ლომსაძემ., სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2015.
6. მამნიაშვილი.., 2012 - მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კერძო ნაწილის სახელმძღვანელო, 2012.
7. უზნაძე, 2006 - უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, 2006.
8. ფალიაშვილი, 1986 - ფალიაშვილი ა., ხმის ჩაწერის გამოყენების სადაო საკითხები სისხლის სამართალწარმოებაში, „სისხლის სამართლის სისხლის სამართლის

პროცესისა და კრიმინოლოგიის აქტუალური საკითხები“ კრებული, თბილისი, 1986, გვ. 22.

9. შინდელიშვილი 2001- შინდელიშვილი გ., ფსიქოლოგიური კონტაქტი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვისას, ჟურნალი ,,სამართალი“ №5, 2001, გვ. 12.
10. ციხისელი 2005 - ციხისელი თ., დეკანოზიშვილი გ., დაკითხვის ტაქტიკა და ფსიქოლოგიური თავისებურებები, თბილისი, 2005.
11. ცნობილაძე, 2004 - ცნობილაძე პ., საკანონმდებლო ტექნიკის უცხოური გამოცდილება, ჟურნალი ,,სამართალი“, 2004.
12. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი 2013.
13. https://mimomxilveli.wordpress.com/tag/მოწმე
14. https://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5061თბილისი, 2015.30.11.
15. https://mimomxilveli.wordpress.com/tag/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%
16. https://www.osgf.ge/files/2055/2015/Human%20Rights%20Program/reportsGeo.web.pdf - ბას დე ვილდე, თბილისი, 2015, გვ, 51-62